პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 52 (9828) | ოთხშაბათი, 3 მარტი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

...მარტო ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სხვა რაიონების ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებით, — ეს მუშაობა კი პარტიამ და მთავრობამ უკვე დაიწყეს, — შესაძლებლობა გვექნება მარცვლეული კულტურების ნათესი გავადიდოთ რამდენიმე მილიონი ჰექტარით. ამ საქმეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან ყველა ამომრჩევლის, მუშების, გლეხების, საბჭოთა ინტელიგენციის, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებისადმი.

## მნიშვნელოვანი პერიოდი მეცხოველეობაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებით 1954 წელს დასახულია ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობის შემდგომი მნიშვნელოვანი მატება, მისი პროდუქტიულობის მკვეთრი ამაღლება.

პირუტყვის სულადობის გადიდება საკუთარი მომრავლების გზით საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების მთავარი წყაროა. ამიტომ მიღებული ნამატის მთლიანად შენარჩუნებამ და მაღალპროდუქტიულ ცხოველთა გაზრდამ უნდა ცხადყოს, თუ რამდენად შესწევთ ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, მეცხოველეობის თვითეულ მუშაკს იმის უნარი, რომ წარმატებით განახორციელონ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიული დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანები, პარტიისა და მთავრობის შემდგომი გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებზე.

დადგა პირუტყვის ნამატის მასობრივად მიღების პერიოდი. უკვე გამოჩნდნენ პირველი მოწინავენიც ამ საქმეში. დუშეთის რაიონის სოფელ მაღაროსკარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მიღებული 45 ხბო სრულად არის შენარჩუნებული. წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმას უკვე რამდენიმე ასეული ბატკანი ჰყავს.

მაგრამ, ამასთან ერთად ზოგან სერიოზული ნაკლოვანებებია. რესპუბლიკის მეცხოველეობის ერთ-ერთი ძირითადი რაიონის — ყაზბეგის მთელი რიგი კოლმეურნეობები სუსტად მოემზადნენ ნამატის მიღება-შენარჩუნებისათვის. სოფელ ცდოს კალინინის სახელობის, განისის ორჯონიკიძის სახელობის, გიმარის სტალინის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში არ დაუმთავრებიათ საბატკნეების მოწყობა, აკლიათ საკვები, ნაკლებად ზრუნავენ მწყემსთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის. ჩანს, ამ რაიონის ხელმძღვანელმა პარტიულმა, საბჭოთა ორგანოებმა, კოლმეურნეობათა გამგეობებმა სათანადო დასკვნები არ გააკეთეს გასული წლის მკაცრი გაკვეთილიდან, როცა გამოზამთრებისა და დოლის ცუდი ორგანიზაციის გამო მთელ რიგ კოლმეურნეობებში პირუტყვის მასობრივ სიკვდილიანობას ჰქონდა ადგილი, და მიმდინარე მკაცრ ზამთარსაც მოუმზადებელი შეხვდნენ.

ხანგრძლივმა, არახელსაყრელმა ზამთარმა დიდი სიძნელეები შეუქმნა პირუტყვის გამოზამთრებასა და დოლს ჩრდილოეთ კავკასიის ზამთრის საძოვრებზე, სადაც რესპუბლიკის ბევრი რაიონის რამდენიმე ასეული ათასი ცხვარი ბინადრობს. ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ აზერბაიჯანის ზამთრის საძოვრებზე არსებულ თელავის, თეთრი წყაროს, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობათა მეცხვარეობის ფერმებშიც.

რა უნდა გავაკეთოთ კონკრეტულად იმისათვის, რომ წარმატებით ჩავატაროთ პირუტყვის ნამატის მიღება და მთლიანად შევინარჩუნოთ მიღებული ნამატი?

მთავარი, რაც ახლა მოგვეთხოვება, ეს არის ის, რომ უზრუნველვყოთ მაკე პირუტყვისა და უკვე მიღებული ნამატის გულმოდგინე მოვლა, ზუსტად დავიცვათ კვებისა და შენახვის რეჟიმი, დიდი მზრუნველობით მოვეკიდოთ დასუსტებულ, გამხდარ პირუტყვს, რომელიც ცალკე ჯგუფებად უნდა გამოვყოთ და გაძლიერებულად ვკვებოთ. აუცილებელია გავაუმჯობესოთ დაავადებული დედასულადობის მკურნალობა.

ის არასახარბიელო მდგომარეობა, რაც პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის საქმეში ზოგან შეიქმნა გაჭიანურებული ზამთრის გამო, გვავალებს ზუსტად აღვრიცხოთ საკვების არსებული მარაგი, მტკიცე კონტროლი დავაწესოთ მის შენახვასა და ხარჯვაზე. საჭიროა ყოველი რაიონის ფარგლებში შემოვიღოთ პირუტყვის საკვებით კოლმეურნეობათა ურთიერთდახმარების პრაქტიკა. უნდა დავჯავშნოთ საკვების გარკვეული მარაგიც, რაც აუცილებელია ნამატის მომცემი დედასულადობისათვის. საკვების რაციონალური ხარჯვის მნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენს მისი შემზადების მექანიზაცია, რის საშუალებაც ბევრგან არის მტს-ების მდიდარი ტექნიკის ბაზაზე.

საჭიროა ბაგური კვებისა და ნამატის მიღების პერიოდში კარგად დავათბუნოთ პირუტყვის ბინები, ყოველმხრივ მოვაწყოთ სამშობიარო განყოფილებანი, დავიცვათ მათში სანიმუშო სისუფთავე, წესრიგი და ნორმალური ტემპერატურა. როგორც წესი, ყველა ფერმაში უნდა გვქონდეს აუცილებელი ინვენტარი და მასალები ნამატის მიღება-გაზრდისათვის.

მეცხოველეობის განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ კადრები. მიუხედავად იმისა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ ჩვენს რესპუბლიკაში გაწეულია ერთგვარი მუშაობა საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმების საჭირო კადრებით განმტკიცებისათვის, ბევრგან ამ მხრივ მდგომარეობა კვლავ არადამაკმაყოფილებელია. მაგალითად, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლაბრის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის 112 სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს და მათ შორის 67 ძროხას მხოლოდ ორი, ისიც 14-15 წლის ახალგაზრდა ემსახურება.

მეცხოველეთა მუდმივი კადრების უყოლობა იწვევს გაუპიროვნებას პირუტყვის მოვლაში, საკვების არასწორ გამოყენებას და პროდუქციის დანაკარგებს. ასეთ დაუშვებელ მდგომარეობას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვუღოთ ბოლო. გადაუდებელი ამოცანაა განვამტკიცოთ ყოველი ფერმა ისეთი კადრებით, რომლებსაც უნარი შესწევთ წინ წასწიონ მეცხოველეობა. ამასთანავე ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობათა გამგეობებისა და მტს-ების დირექციების უმნიშვნელოვანესი საქმეა გადაჭრით გააძლიერონ მეცხოველეთა საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის ზრუნვა, ურყევად განახორციელონ მათი მატერიალური დაინტერესების ღონისძიებანი, რომლებიც პარტიისა და მთავრობის მიერ არის დაწესებული.

გამოზამთრების წარმატებით დამთავრების, დოლის სწორი ორგანიზაციისა და საერთოდ მეცხოველეობის განვითარების საქმეში დიდი როლი ეკისრებათ მტს-ებს, როგორც გადამწყვეტ ძალას საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში. მაგრამ ზოგიერთი მტს-ის (ქარელი, ალაზანი, ოჩამჩირის I და სხვ.) დირექტორები ინტერესს არ იჩენენ მეცხოველეობისადმი. ცხადია, ეს გარემოება უარყოფითად მოქმედებს სოფლის მეურნეობის ყველაზე რთული დარგის — მეცხოველეობის შემდგომ განვითარებაზე. ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვუღოთ ბოლო საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საკითხებში მტს-ების მუშაკთა ჩაურევლობის პრაქტიკას. პარტიის რაიკომების მდივნები მტს-ების ზონების მიხედვით მთელი სიღრმით უნდა ჩასწვდნენ ამ დარგის მართვის ყველა დეტალს, გააძლიერონ მეცხოველეთა შორის პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება მშრომელთა მძლავრი პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ვითარებაში მიმდინარეობს. ამომრჩევლებისადმი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად მშრომელები ახალ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ ჩვენი დედა-სამშობლოს სასახელოდ და სადიდებლად. სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა რიგებში არიან საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები, რომელთა ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ამოცანაა წარმატებით დაამთავრონ პირუტყვის გამოზამთრება, მთლიანად შეინარჩუნონ და გაზარდონ მიღებული ნამატი, ახალი მიღწევები მოიპოვონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში.

საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობამ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანად დასახა პირუტყვის სულადობის შემდგომი ზრდა, ნამატის მთლიანად შენარჩუნება და პროდუქტიულობის მკვეთრად ამაღლება. შეუპოვრად ვიბრძოლოთ ამ დავალების სასახელოდ შესრულებისათვის — ასეთია მეცხოველეობის მუშაკთა სახელისა და ღირსების საქმე.

### ცალკე ბროშურად გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1953 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ“

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოუშვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1953 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ“.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საქდესი).

## ჩვენს დიად სამშობლოში

★

### გენერატორები სოფლის ელექტროსადგურებისათვის

ლენინგრადი, 1 მარტი. (საქდესი). ს. მ. კიროვის სახელობის ქარხანა „ელექტროსილამ“ დამთავრდა 230 კილოვატი სიმძლავრის რვა სინქრონული გენერატორის გამოცდა. ეს მანქანები განკუთვნილია სტავროპოლის მხარისა და სარატოვის ოლქის, აგრეთვე სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების სოფლის ელექტროსადგურებისათვის.

ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მარტში ვადამდე შეასრულოს კიდევ ათი სინქრონული გენერატორის დამზადების მორიგი დაკვეთა.

### მოსკოვს ჩამოვიდნენ ლიტვის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მონაწილენი

1 მარტს მოსკოვს ჩამოვიდა ლიტვის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მონაწილეთა დიდი ჯგუფი. დეკადა იხსნება 4 მარტს.

ლიტველი ხალხის წარმოგზავნილთა შესახვედრად ბელორუსიის ვაგზალზე შეიკრიბნენ დედაქალაქის თეატრალური, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები. სტუმრებს მხურვალედ მიესალმნენ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ნ. ე. ტვერდოხლებოვი და სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნ. ს. ხანაევი.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ლიტვის სსრ სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ი. ვ. სიპარისმა, რომელმაც ლიტვის სსრ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრისა და სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივების სახელით მადლობა უძღვნა დამხვდურთ გულთბილი მიღებისათვის. მან თქვა:

— საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე რუსი და სხვა საბჭოთა ხალხების ძმური დახმარებით ლიტვა აყვავებულ რესპუბლიკად გადაიქცა. ჩვენი ხელოვნების განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა მოწინავე რუსულმა ხელოვნებამ, მისმა გამოჩენილმა მოღვაწეებმა.

ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ მცირეა ჩვენი წარმატებანი. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ დიდი რუსი ხალხისაგან. დღეს მოსკოვს ჩამოვედით ჩვენი შემოქმედებითი ანგარიშით, რომ გაჩვენოთ თქვენ, მეგობრებო, ყოველივე ის, რასაც მივაღწიეთ რესპუბლიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებისათვის ბრძოლაში. (საქდესი).

### ახალი მაჯის საათი

პენზა. (საქდესი). 22 თებერვალს პენზის საათის ქარხანაში დამთავრდა პირველი ათასი ცალი „ზარია“ მარკის მაჯის საათის ორი თვის გამოცდა.

— ეს ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მინიატიურული ქალის საათია. იგი „ზვეზდაზე“ ორჯერ პატარაა, — ამბობს ქარხნის მთავარი ინჟინერი ამხ. კოლიადა. — ახალ საათს აქვს თექვსმეტი ლალის თვალი და ფოლადის ანკერის მექანიზმი. ხანგრძლივმა გამოცდამ დაადასტურა, რომ საათი ზუსტად მუშაობს, საწარმოში მუშავდება საათის გარეგანი გაფორმების რამდენიმე სხვადასხვა ვარიანტი.

ჩაბმული არიან რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავ შეჯიბრებაში, პენზელმა მესაათეებმა გადაწყვიტეს 14 მარტისათვის დაამთავრონ მეექვსე ათასი ახალი საათის აწყობა.



კალინინგრადი. ქალაქის მცხოვრებლებმა გასულ წელს 40 ათასამდე კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი მიიღეს. უახლოეს წლებში კიდევ ათობით აშენდება მრავალსართულიანი კეთილმოწყობილი სახლები. სურათზე: სტალინგრადის პროსპექტი კალინინგრადში.

ფოტო ე. იასენოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

### გაზაფხულისათვის მზადება „სტალინგრადჰიდრომშენზე“

ვოლჟსკი (სტალინგრადის ოლქი). (საქდესი). ვოლგის გაღმა, სადაც გაშლილია სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო მოედანი, დიდი თოვლი და ძლიერი ყინვებია. ჰიდრომშენებლებმა უკვე დიდი ხანია დაიწყეს გაზაფხულისათვის მზადება. ახლა ისინი ჰიდროელსადგურის ქვაბულს მძლავრი ჯებირით აერთებენ ახლომდებარე კუნძულ სპორნისთან. ეს გემებს მისცემს უკეთეს გზას მშენებლობის მისადგომებისაკენ.

ჯებირი ერთსა და იმავე დროს ამოჰყავთ ორი მხრიდან. მის აგებაზე მუშაობს ათობით მძლავრი ავტოთვითსაცლელი, მრავალი ბულდოზერი და სკრეპერი. აქეთ ეზიდებიან მთელ გრუნტს, რომელსაც იღებენ ქვაბულიდან, სადაც უნდა აიგოს ჰიდროელსადგურის შენობა.

### მანქანები ახალი მიწების ასათვისებლად

ჩელიაბინსკი, 2 მარტი, (საქდესი). ჩელიაბინსკის კოლიუშჩენკოს სახელობის ქარხნიდან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში ყოველდღე იგზავნება საძირკვავი მანქანებით, ბულდოზერებით, სკრეპერებითა და სხვა მანქანებით დატვირთული ვაგონები. ახლა მეტი წილი მიწისსათხრელი მანქანები მიდის ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში.

თებერვლის დამლევს საწარმოს კოლექტივმა შეასრულა მანქანა-ტრაქტორთა, მდელო-სამელიორაციო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის სკრეპერების გამოშვებისა და გაგზავნის პირველი კვარტალის პროგრამა. მთავრდება პირველი კვარტალის დაკვეთებით სოფლის მეურნეობისათვის ბულდოზერების გაგზავნა. ბევრი მიწისსათხრელი მანქანა გაიგზავნა ყაზახეთსა და ციმბირში.

თებერვალში მანქანათმშენებლებმა დაამზადეს და ამურის, ომსკის, ჩიტის და ზოგიერთ სხვა ოლქის მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაგზავნეს მძლავრი საძირკვავები. ეს მანქანები საჭიროა იმისათვის, რომ ახალი მიწები მოამზადონ დასახნავად.

ალმა-ატა, 2 მარტი. (საქდესი). ყაზახეთის კოლმეურნეობებმა ორი წლის განმავლობაში უნდა აითვისონ ოთხი მილიონი ჰექტარი ყამირი და ძველნასვენი მიწები. სოფლის მეურნეობის სამინისტროში საქდესის კორესპონდენტს აცნობეს, რომ სატრაქტორო სამუშაოთა მოცულობა ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად დიდდება. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები იღებენ ახალ ტექნიკას. მარტო წლის პირველ ნახევარში მიღებულ იქნება შვიდი ათასზე მეტი მძლავრი დიზელიანი ტრაქტორი, ათასობით გუთანი, სათესი, კომბაინი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში დაიწყო ახალი სატრაქტორო ბრიგადების დაკომპლექტება. დასავლეთ ყაზახეთის ოლქის ბუდიონის მტს-ი მიმდინარე წელს აითვისებს ათი ათასამდე ჰექტარ ყამირს. ეს სადგური მალე მიიღებს 28 ტრაქტორს. ყამირის ასათვისებლად შექმნილია პირველი ორი სატრაქტორო ბრიგადა. ორივე ბრიგადა დაკომპლექტებულია საუკეთესო მძღოლებით. ამჟამად ისინი იმაღლებენ კვალიფიკაციას, სწავლობენ ახალი მანქანების ექსპლოატაციისა და მათი ტექნიკური მოვლის წესებს.

დასავლეთ ყაზახეთის, აქმოლინსკის, აქტიუბინსკისა და სხვა ოლქების მექანიზატორთა შორის გაჩაღდა შეჯიბრება მანქანა-ტრაქტორთა პარკის შეკეთების რაც შეიძლება მალე დამთავრებისა და ახალი მიწების ათვისებაზე მისი უკეთ გამოყენებისათვის.

### ამომრჩეველთა შეხვედრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბათუმის ზღვისპირა № 415 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველ მოადგილეს მარიამ ივლიანეს ასულ ბურჭულაძეს.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გეგეჭკორის № 130 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორს სსრ კავშირის სახალხო არტისტს აკაკი ალექსის-ძე ხორავას.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გორის № 141 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს დავით ზაქარიას-ძე რომელაშვილს, რომელიც კენჭს იყრის ამ საარჩევნო ოლქში.

თელავის სახელმწიფო თეატრში თავის ამომრჩევლებს შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი თელავის მესამე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე თამარ აკაკის ასული მაჭავარიანი, რომელიც კენჭს იყრის ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თელავის № 148 საარჩევნო ოლქში. (საქდესი).

### საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების მე-8 რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტში

შედგა საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების მე-8 რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის პირველი სხდომა. სხდომას დაესწრნენ: მ. ზუბინიძე, მ. კუჭავა, ა. გუნია, ა. გიორგაძე, ვ. მელქაძე, გ. ჯიბლაძე, თ. ჯანელიძე, გ. ფოფხაძე, ი. აბაშიძე, მ. ჩირინაშვილი, გ. ჩხიკვაძე, დ. ჯავრიშვილი, დ. მოსელიანი, მ. ბუჯიაშვილი, ა. კინწურაშვილი, ი. ახვლედიანი და გ. გრიგოლიშვილი.

სხდომამ განიხილა და დაამტკიცა დებულება 1954 წლის მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებისა და მე-8 რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ.

საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო დადგენილება — გამოიცეს კრებული, რომელშიც შევა 50 სიმღერა (ხალხური და კომპოზიტორებისა). იმავე კრებულში შევა აგრეთვე ცალკე ტექსტები იმ სიმღერებისა, რომლებიც პოპულარობით სარგებლობენ. კრებულის რედაქტორობა მიენდო ამხ. გ. ჯიბლაძეს.

თვითმოქმედი მხატვრული წრეების ხელმძღვანელთა დასახმარებლად მოეწყობა მოკლევადიანი კურსები, გამოიცემა მეთოდური წერილები საგუნდო, ქორეოგრაფიული, თეატრალური და სახვითი ხელოვნების დარგში.

ადგილებზე მივლინებულ იქნებიან სპეციალისტები მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივებისათვის მეთოდური დახმარების გასაწევად.

### 240 ჩქაროსნული დნობა 26 დღეში

რუსთავი. (საკ. კორ.). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების ეს დღეები რუსთავის მეტალურგების მოწინავე რაზმმა — მარტენის საამქროს კოლექტივმა ახალი მნიშვნელოვანი წარმატებებით აღნიშნა: იანვარში გაჩაღებული კომპლექსური სოციალისტური შეჯიბრების შედეგად ქარხნის საამქროებს შორის პირველობა მოიპოვა, მიიღო საქარხნო გარდამავალი წითელი დროშა და თებერვლის საწარმოო გეგმა ორი დღით ადრე — 26 თებერვალს შეასრულა. თებერვლის 26 დღის განმავლობაში მემარტენეებმა განახორციელეს 240 ჩქაროსნული დნობა, სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს რამდენიმე ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ფოლადი.

არჩევნების აღსანიშნავად მუშაობაში თავი ისახელა მეფოლადე გ. სიგუას ბრიგადამ, რომელმაც თვიური დავალება 22 თებერვლისთვის გაანაღდა. ცალკე მეფოლადეებს შორის საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს ა. ფანცულაიამ, შ. შუბითიძემ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა ი. მეტრეველმა, რომელმაც 26 დღეში 18 ჩქაროსნული დნობა განახორციელა, გეგმის გადამეტებით 300 ტონაზე მეტი ფოლადი გამოუშვა.

### ახალციხის ქვანახშირი გეგმის გადამეტებით

ახალციხე. 1 მარტი. (საქდესი). დიდი შრომითი აღმავლობაა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში ახალციხის შახტებში. მეორე შახტის კოლექტივმა ქვანახშირის ამოღების თებერვლის გეგმა ვადაზე 4 დღით ადრე 104,5 პროცენტით შეასრულა.

თვიური გეგმა ვადამდე შეასრულა აგრეთვე ახალციხექვანახშირის ტრესტის პირველი შახტის კოლექტივმა. ცვლები, რომლებსაც ვ. კირსანოვი და დ. გელენაძე ხელმძღვანელობენ, სისტემატურად 115-120 პროცენტით ანაღდებენ დღიურ ნორმებს.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის წამყვანი პროფესიების მუშათა, ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 8 ნოემბრისა და 1952 წლის 8 მარტის ბრძანებულებათა შესაბამისად ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის დაჯილდოებულ იქნან:

#### შრომის წითელი დროშის ორდენით

1. ბიბილოშვილი სოფიო ალექსანდრეს ასული — დამფასოვებელი.
2. ვირჩენკო ნიკიფორე კორნეის-ძე — მეაპარატე.
3. გროძინსკი ეგნატე იოსების-ძე — ცვლის უფროსი.
4. კალანდაძე შუშანა ვლასის ასული — აღმრიცხველი.
5. სარქისოვი გევორქ პეტრეს-ძე — მეაპარატე.

#### მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. აბაშიძე ალექსანდრე ივანეს-ძე — მეაპარატე.
2. აბაშიძე სიმონ ვასილის-ძე — უფროსი ეკონომისტი.
3. ანთიძე ქსენია გიორგის ასული — მრეცხავი.
4. არმენაკიანი აკოფ ბარსეგის-ძე — მემანქანე.
5. აცატუროვა ნინო პავლეს ასული — ჩამლაგებელი.
6. ბაქრაძე მასურია ვლადიმერის ასული — საამქროს უფროსი.
7. ბერიძე პლატონ ზაქარიას-ძე — განყოფილების უფროსი.
8. დალაქიშვილი შუშანა სიმონის ასული — მემანქანე.
9. ეგიაზაროვი იოსებ ტონის-ძე — ბრიგადირი.
10. კობახიძე ნინო პავლეს ასული — განყოფილების უფროსი.
11. ქრისტესაშვილი ანა სტეფანეს ასული — ცვლის უფროსი.
12. ქუმარიტოვი ზაალ გაბრიელის-ძე — მეაპარატე.
13. ლალაძე ნინო გიორგის ასული — ცვლის უფროსი.
14. ლეჟავა აგრაფინა ილარიონის ასული — მრჩილავი.
15. პოლოსიანი ნატალია გრიგოლის ასული — დამფასოვებელი.
16. პრონინა მატრონა დიმიტრის ასული — მბეჭდავი.
17. ტურაბელიძე ნინო სერაფიონის ასული — საამქროს უფროსი.
18. ცომაია თეოფანე ყარამანის-ძე — მეაპარატე.
19. შაქარიშვილი ნინო ვლადიმერის ასული — დამფასოვებელი.
20. შარაშიძე ანა ისიდორეს ასული — მრეცხავი.

#### მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. აბესაძე ალექსანდრა გაბრიელის ასული — მეაპარატე.
2. აზმაიფარაშვილი ევგენია ივანეს ასული — უბნის უფროსი.
3. ახვერდოვა მარიამ არშაკის ასული — მეაპარატე.
4. ბალოშვილი ლევან გრიგოლის-ძე — მთავარი ინჟინერი.
5. ბაირამოვა ფატმა მურსალის ასული — დამფასოვებელი.
6. ბეგიჯანოვა ელისაბედ სოლომონის ასული — დამლაგებელი.
7. ბულახოვა ალექსანდრა ტიმოთეს ასული — მუშა.
8. ვინოგრადოვა მარიამ გაბრიელის ასული — უფროსი მეაპარატე.
9. დათიკაშვილი ელენე მიხეილის ასული — მრჩილავი.
10. განჯელოვა ბარბარე სტეფანეს ასული — უფროსი მეაპარატე.
11. ჟინოვა ბარბარე პავლეს ასული — გამშრობი.
12. ივაშკინა ვერა იაკობის ასული — დამფასოვებელი.
13. კარაპეტიანი ასტღიკ ლეონის ასული — მეაპარატე.
14. კნაუს-სეივიაკი ქრისტინე ქრისტეფორეს ასული — მუშა.
15. კორძაძე მარიამ ალექსანდრეს ასული — შემმოწმებელი.
16. კორჩაშვილი ნინო გიორგის ასული — უფროსი ქიმიკოსი.
17. კრივოშეევა ნადეჟდა გრიგოლის ასული — უფროსი ქიმიკოსი.
18. ლიშჩინსკაია ვიქტორი ეგნატეს ასული — მბეჭდავი.
19. ნინიკაშვილი სესილია ვასილის ასული — მინამბერი.
20. კაპენკოვა ელენე მიხეილის ასული — მიმწოდებელი.
21. სიხარულიძე ლიდა დიომიდეს ასული — ბრიგადირი.
22. ხტაროშვილი ნინო ისაკის ასული — შემმოწმებელი.
23. სუნდუკიანი ევგენი ალექსანდრეს-ძე — მთავარი მექანიკოსი.
24. ტარაბუკინი პეტრე ვასილის-ძე — მეაპარატე.
25. ცაგარელი ქეთევან მიხეილის ასული — უბნის უფროსი.
26. ცაგარელი მარგარიტა მიხეილის ასული — შემმოწმებელი.
27. ექვთიმაშვილი ნადეჟდა არსენის ასული — მედიფუზორე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი 1954 წ. 1 მარტი.

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

# მოწინავე საბჭოთა ენათმეცნიერი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ქეთევან ბესარიონის ასული ლომთათიძე ერთი იმ სახელოვან მეცნიერთაგანია, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში აღიზარდნენ. ამიტომ მთელი მისი ცხოვრება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხის ინტერესებთან, ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის აყვავება-განვითარებასთან.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ქეთევან ლომთათიძე ცნობილი საბჭოთა ენათმეცნიერია. იგი ავტორიტეტული მკვლევარი სპეციალისტია აფხაზურ-ჩერქეზული ჯგუფის ენებისა.

აფხაზურ და ქართველურ ენებს ქეთევან ლომთათიძემ 66 სამეცნიერო შრომა მიუძღვნა, მათ შორის ოთხი დიდი მონოგრაფიული გამოკვლევა. მისი შრომები გამოქვეყნებულია ქართულ და რუსულ ენებზე როგორც თბილისში, ისე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ორგანოებში.

ქ. ლომთათიძე დაიბადა 1911 წელს ხიდისთავში (ჩოხატაურის რაიონი). თბილისის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე და სწავლობს ენათმეცნიერების დარგზე.

ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მან გამოავლინა უტყუარი ნიჭი და ლინგვისტური ალღო, რითაც მომავალი მეცნიერი ქალი იყო დაჯილდოებული.

უნივერსიტეტი დაამთავრა 1931 წელს. 1931-1934 წლებში ქ. ლომთათიძე მეცნიერ თანამშრომლად მუშაობს ჯერ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველი ნაბეჭდი წიგნების განყოფილებაში, ხოლო შემდეგ — ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციაში. 1934 წელს იგი ჩარიცხეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში — კავკასიური ენების (აფხაზური ენის) სპეციალობაზე. ასპირანტურის კურსის წარჩინებით დასრულების შემდეგ 1938 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია აფხაზური ენის სტრუქტურის ერთ-ერთ რთულ პრობლემაზე.

ამავე ხანებში იგი იწყებს ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას; 1937 წლიდან კითხულობს აფხაზური ენის კურსს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1938-1940 წლებში — ზოგადი ენათმეცნიერების კურსს სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ქ. ლომთათიძემ 1945 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რომელიც წარმოადგენს ფუძემდებელ შრომას აფხაზურ-ჩერქეზული ჯგუფის ენათა შესწავლის საქმეში. 1952 წელს მას პროფესორის წოდება მიენიჭა.

ქ. ლომთათიძე ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორია და ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების გამგე, აგრეთვე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრის პროფესორი, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ VII ტომის რედაქტორია.

ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო შრომების გამოსვლის შემდეგ ქ. ლომთათიძემ რამდენიმე სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ზოგადი ენათმეცნიერების პრინციპულ საკითხებს. მისმა რეცენზიამ აბაზური ენის შესახებ არსებულ ნაშრომებზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნ. მარის მიმდევართა ცრუმეცნიერული საქმიანობის გამომზეურებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ღირსეული კანდიდატის ქეთევან ლომთათიძის დამსახურება სხვა მხრივაც დიდია. იგი დაუზარებლად ახმარს თავის ცოდნასა და გამოცდილებას ენათმეცნიერთა ახალი კადრების აღზრდის საქმეს.

ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ქ. ლომთათიძე კარგად უთავსებს საზოგადოებრივ საქმიანობასაც, იგი დაუღალავი საზოგადოებრივი მუშაკია, არის მშრომელთა დეპუტატების თბილისის მეორე, მესამე და მეოთხე მოწვევის საქალაქო საბჭოს დეპუტატი და მუდმივი კომისიების აქტიური წევრი. 1950 და 1952 წლებში არჩეული იყო მშვიდობის მომხრეთა მეორე და მეოთხე საკავშირო კონფერენციების დელეგატად.

ქ. ლომთათიძე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1952 წლიდან.

მოწინავე საბჭოთა მეცნიერი, გულისხმიერი აღმზრდელი და აქტიური საზოგადო მოღვაწე ნაყოფიერი შემოქმედებითი და პედაგოგიური მუშაობისათვის დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში შრომითი მამაცობისათვის“.

უეჭველია, მოწინავე საბჭოთა მეცნიერი ქალი გაამართლებს ამომრჩეველთა ნდობას.

**ვ. თოფურია,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი,

**გ. შალამბერიძე,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

# ნიჭიერი მომღერალი

ლეილა მიხეილის ასული გიორგაძე იმ მომღერალ მსახიობთა ჯგუფს ეკუთვნის, რომლებმაც თავიანთი პირველი გამოსვლისთანავე მიიქციეს ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება.

ლეილა გიორგაძემ თბილისის ოპერის თეატრში თავისი მუშაობის მცირე მანძილზე არაერთი მაღალმხატვრული სახე შექმნა.

პირველად იგი 1948 წელს გამოვიდა ჩაიკოვსკის ოპერა „პიკის ქალში“, სადაც წარმატებით იმღერა პოლინას პარტია.

მის მიერ შესრულებული მარინა მნიშეკი (მუსორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვი“) და სოლოხა (ჩაიკოვსკის ოპერა „ქოშები“) გამოირჩევა განსაკუთრებული დახვეწილობით და შესრულების მაღალი ტექნიკით.

დაუვიწყარი და ამაღელვებელია ლეილა გიორგაძის მიერ შესრულებული ნენოს პარტია (ზ. ფალიაშვილის ოპერა „ლატავრა“). მსახიობმა მოგვცა თავდადებული ქართველი ქალის სახე, რომელიც ქართველი ვაჟკაცების მხარდამხარ იბრძვის სამშობლოს განსათავისუფლებლად.

ლეილა გიორგაძის მიერ შექმნილი ყოველი სახე ხასიათდება ახალი შტრიხით, რომელსაც იგი აღწევს როლზე შემოქმედებითი მუშაობით, სცენიური და ვოკალური წინსვლით.

ვის არ აღაფრთოვანებს მისი ლიუბაშა (რიმსკი-კორსაკოვის ოპერა „მეფის საცოლე“), ვის არ მოხიბლავს მის მიერ შესრულებული ამნერისი (ვერდის ოპერა „აიდა“). ამ მეტად რთულ ვოკალურ პარტიებში ლეილა გიორგაძე გვევლინება როგორც ნამდვილი დასრულებული პროფესიონალი მომღერალი.

კარმენის პარტია (ბიზეს ოპერა „კარმენი“) მეცო-სოპრანოს რეპერტუარში ურთულესი პარტიაა. ლეილა გიორგაძემ ამ პარტიის ვოკალურ და სცენიურ მხარეზე დაუღალავი მუშაობით შექმნა შესანიშნავი სახე ბოშა ქალისა.

ლეილა გიორგაძე წარმატებით გამოდის არა მარტო თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე. მას დიდი წარმატება ხვდა გასულ წელს გასტროლებზე ბაქოსა და ლენინგრადში, სადაც იმღერა კარმენისა და ამნერისის პარტიები. ლენინგრადისა და ბაქოს საზოგადოებამ გულთბილად მიიღო ახალგაზრდა ქართველი მომღერალი და მაღალი შეფასება მისცა მის ნიჭსა და შესრულების ხელოვნებას.

ლეილა გიორგაძე დაუღალავად მუშაობს ახალი სახეების შესაქმნელად. ახლო მომავალში თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე იგი იმღერებს სალომეას პარტიას დანკევიჩის ოპერაში „ბოგდან ხმელნიცკი“.

ლ. გიორგაძე აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. იგი ქ. თბილისის კალინინის რაიონული საბჭოს დეპუტატია.

ნიჭიერი მომღერალი ქალი სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კრებამ დაასახელა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. მისი კანდიდატურა რეგისტრირებულია ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის ლენინის № 147 საარჩევნო ოლქში.

ხალხის ეს დიდი ნდობა ახალგაზრდა მსახიობს ავალებს გაათკეცებული ენერგიით იშრომოს ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**ზ. ანჯაფარიძე,**
თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი.



სურათზე: თელავის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის პარკის მხარშველი სტახანოველი ქ. ალხაზოვი მუშაობის დროს.

ფოტო შ. გოქაძისა.

## მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მტს-ებს

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში დიდი ამოცანებია დასახული მტს-ების წინაშე. ამასთან დაკავშირებით ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ არის გაშლილი მუშაობა მტს-ების გაფართოებისა და კეთილმოწყობისათვის. შარშან მტს-ებთან უკვე აშენდა 8 ტიპური სახელოსნო, 15 ფარდული, 12 საცხოვრებელი სახლი, ელექტროფიცირებულია 18 მტს-ი, გარდა ამისა, აიგო რამდენიმე კანტორის შენობა, ნავთობის ბაზა და სხვ.

მტს-ებისა და მეცხოველეობის სამანქანო სადგურებისათვის მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად და კეთილმოსაწყობად კოლოსალური სამუშაოებია გათვალისწინებული მიმდინარე წელს. განზრახულია აიგოს 14 ტიპური სახელოსნო, ტრაქტორებს 12 გარაჟი, ფარდულები კომბაინებისათვის, აგრეთვე მრავალი სხვა საწარმოო და საყოფაცხოვრებო შენობა.

ხაშურის, ქსნისის, განძის, ბარალეთის, ალვანის, ვარდისუბნისა და ქობულეთის მტს-ებში დაგეგმილია კომპლექსური მშენებლობა, რაზეც თვითეულ მტს-ში დაიხარჯება 2,5 მილიონი მანეთი. სულ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების და მეცხოველეობის სამანქანო სადგურების კეთილმოსაწყობად წელს 31 მილიონი მანეთი დაიხარჯება.

## ახალი მანქანები მეცხოველეობის ფერმებისათვის

წითელწყარო. (საქ. კორ.). უკანასკნელ ხანს რაიონში გაძლიერდა მუშაობა მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის.

ამ დღეებში რაიონის კოლმეურნეობებმა მიიღეს ავტომატური სარწყულებლები, ავტოსაწველები, ცხვრის საპარსი, საკვების დასაორთქლებელი, ჩაქუჩოვანი სამსხვრევი, ჭარხლის სარეცხი, საჭრელი და სხვა აგრეგატები.

წითელწყაროს მტს-ის მექანიზატორებმა და სპეციალისტებმა პირველად სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში მოაწყეს მექანიზებული ფერმა, სადაც დაამონტაჟეს ავტომატური საწველი, სარწყულებელი, საკვების საჭრელი და სხვა აგრეგატები. წარმატებით მიმდინარეობს და უახლოეს დღეებში დამთავრდება საწველი აგრეგატების დამონტაჟება ზემო მაჩხაანის სტალინის, არბოშიკის კალინინის, წითელწყაროს ლენინისა და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებში.

# კვალიფიციურად, საქმის ღრმა ცოდნით ვუხელმძღვანელოთ სოფლის მეურნეობას

### მტს-ების დარგში პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნების თათბირი-სემინარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი-სემინარი პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნებისა მტს-ების დარგში.

თათბირის მონაწილეებმა — პარტიის რაიონული კომიტეტის მდივნებმა მტს-ების დარგში ამხ. ნ. კვირტიამ (ოჩამჩირე), ს. მაჭავარიანმა (წითელწყარო), ა. მკრტჩიანმა (სტალინირი), ა. გობრონიძემ (მახარაძე), შ. ბურდულმა (თეთრი წყარო) და სხვებმა ერთმანეთს გაუზიარეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების საფუძველზე პარტიის სასოფლო რაიკომების მუშაობის გარდაქმნის საქმეში შეძენილი პირველი გამოცდილება. ამასთან მათ აღნიშნეს ის ნაკლოვანებანი, რაც მათ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში აქვთ და წამოაყენეს მთელი რიგი წინადადებანი პარტიული აპარატის მუშაობის გარდაქმნის სწრაფად დამთავრებისათვის.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. პ. გიორგაძემ.

პროფესორმა გ. ჯაფარიძემ თათბირის მონაწილეებისათვის წაიკითხა ლექცია „კარტოფილის, ბოსტნეულისა და სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი წესით რგვა-თესვის უპირატესობათა შესახებ“, დოცენტმა ს. ერქომაიშვილმა — „მეცხოველეობის საკვები ბაზის განვითარების შესახებ“ და პროფესორმა დ. ენუქიძემ — „საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ“.

თათბირი-სემინარის მეორე დღეს რაიკომის მდივნები მტს-ების დარგში გაეცნენ გარეჯუბნის რაიონის სოფელ დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზებულ ფერმას და ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის სასათბურე მეურნეობას. თათბირის მონაწილეებს უჩვენეს კინოფილმი კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვის შესახებ.

## მოწინავე მეავეჯეთა ახალი წამოწყება

საქართველოს სსრ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს თბილისის ავეჯის ფაბრიკის კოლექტივმა, რომელმაც თავი ისახელა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და საუკეთესო მაჩვენებლებით შეასრულა იანვრისა და თებერვლის საწარმოო დავალებები, წერილით მიმართა რესპუბლიკის საავეჯო საწარმოთა კოლექტივებს და მოუწოდა მათ ახალი ძალით გაჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მოსახლეობისათვის მაღალხარისხოვანი, ლამაზი და იაფი ავეჯის გამოშვების გასადიდებლად.

— ჩვენმა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ, — ნათქვამია წერილში, — საავეჯო მრეწველობის მუშაკთა წინაშე დააყენეს დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — სრულად დავაკმაყოფილოთ საბჭოთა ადამიანების მზარდი მოთხოვნილება საუკეთესო ხარისხის, გაუმჯობესებული კონსტრუქციის, ლამაზი, მაღალხარისხოვანი და იაფი ავეჯის გამოშვებით.

ჩვენი ფაბრიკის კოლექტივმა აწონდაწონა თავისი შესაძლებლობანი და გადაწყვიტა საავეჯო საწარმოთა კოლექტივებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების მისაღწევად მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა შეასრულოს არჩევნების დღისათვის — 14 მარტისათვის, ხოლო წლიური გეგმა — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავისათვის — 7 ნოემბრისათვის. ვკისრულობთ არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა უკეთესი გამოყენებით გავადიდოთ ავეჯის გამოშვება გეგმის გადამეტებით სულ ცოტა 29 პროცენტით და წლის ბოლოსათვის გეგმის გადაჭარბებით გამოვუშვათ 1.500.000 მანეთის პროდუქცია.

ამასთან ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა ავეჯის თვითღირებულების შემცირება 1,4 პროცენტით და პროდუქციის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებასთან ერთად შრომის ნაყოფიერების გადიდება 10 პროცენტით.

თბილისელ მეავეჯეთა ახალმა წამოწყებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა რესპუბლიკის საავეჯო მრეწველობის ყველა საწარმოში.

### უკანასკნელი ფოსტიდან

## დაუდევრობის ნაყოფი

**რამდენ საათს იცოცხლა ლესინგმა? თურმე ნუ იტყვით, ასეთი უცნაური შეკითხვა დაებადა ჟურნალ „ნიანგის“ ბევრ მკითხველს, როცა გაეცნენ გამოჩენილი გერმანელი მწერლის გ. ლესინგის სხარტული ლექსების ზოგიერთ ნიმუშს, გამოქვეყნებულს ჟურნალის მეორე ნომერში. ჟურნალის რედაქციამ ამ თარგმანებს წაუმძღვარა შენიშვნა, რომელშიც ერთმანეთში აურია ლესინგის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები: შენიშვნის მიხედვით გამოჩენილი მწერალი კიდევაც დაიბადა და კიდევაც გარდაიცვალა ამ 225 წლის წინათ ერთსა და იმავე დღეს, სახელდობრ 22 იანვარს. შეიძლება ვიფიქროთ, გვწერს „ნიანგის“ მკითხველი ლ. ქაშაკაშვილი, რომ ლესინგს უცოცხლია სულ რამდენიმე საათი...**

**მართალია, „ნიანგი“ იუმორისტული ჟურნალია, მაგრამ ასეთი „ხუმრობა“ მის მუშაკებს ღირსებას ვერ მატებს. რაც შეეხება „ნიანგის“ მკითხველთ, ჩვენ მათ ვუპასუხებთ (და ეს უნდა იცოდნენ „ნიანგის“ მუშაკებმაც), რომ ლესინგმა იცოცხლა არა რამდენიმე საათი, არამედ 52 წელი: დაიბადა 1729 წელს და გარდაიცვალა 1781 წელს.**

# ავამაღლოთ პოლიტიკური აგიტაციის იდეური დონე

ჩვენი სამშობლოს მშრომელები უდიდესი ერთსულოვნებითა და აღფრთოვანებით ეგებებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. საარჩევნო კამპანია ცხადყოფს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის კავშირის უმაგალითო სიმტკიცეს და მონოლითურობას, ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ხალხთა ურღვევ მეგობრობას, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ამომრჩევლებმა დაასახელეს საბჭოთა ხალხის საუკეთესო შვილები, ჩვენი დიადი პარტიისადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანები. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატთა შორის არიან ამხანაგები გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, მ. ზ. საბუროვი, მ. გ. პერვუხინი, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მოწინავე მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები. დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულია ბევრი უპარტიო მშრომელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით მთელი ძალით გაიშალა საგიტაციო-მასობრივი მუშაობა ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში. ფართოდ გააჩაღეს საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით ქ. თბილისის პარტიულმა ორგანიზაციებმა. საარჩევნო უბნებთან შექმნილია აგიტპუნქტები. საგიტაციო-მასობრივ მუშაობას ეწევა 13 ათასზე მეტი აგიტატორი. კარგად მუშაობს № 5 აგიტპუნქტი, რომელიც მოთავსებულია კალინინის რაიონში, ხელოვნების მუშაკთა სახლში. აგიტპუნქტში შემოღებულია აგიტატორთა მორიგეობა. საარჩევნო უბანში 24 აგიტატორი მუშაობს. აგიტპუნქტი უზრუნველყოფილია საჭირო ლიტერატურით, ჟურნალ-გაზეთებით. კედლებზე გაკრულია ილუსტრაციები, დიაგრამები და სქემები ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი განვითარების შესახებ.

აგიტპუნქტის სამუშაო გეგმის მიხედვით ეწყობა ამომრჩეველთათვის საუბრები, მოხსენებები, ლექციები, კონცერტები, უჩვენებენ კინოსურათებს და სხვ.

არჩევნებისათვის მზადების პერიოდში შესანიშნავ შრომითს წარმატებებს მიაღწიეს რუსთავის მეტალურგებმა და მშენებლებმა. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით პროდუქციის გამოშვების იანვრისა და თებერვლის გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულა. განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწია ქარხნის მილსაგლინავმა საამქრომ. საამქროს პარტიულმა ორგანიზაციამ ამომრჩეველთა შორის საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გასაშლელად გამოჰყო წარმოების მოწინავე ადამიანები, ნოვატორები. აგიტატორი ს. შარლო გეგმებს 177 პროცენტით ასრულებს. ასევე მაღალი მაჩვენებლებით მუშაობენ ამ დღეებში აგიტატორები დ. მიქაძე, ტ. ტურაშვილი და სხვები.

მარტენის საამქროს მეფოლადეები ჩაებნენ არჩევნების აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და წარმატებებსაც აღწევენ. საამქრომ გადაჭარბებით შეასრულა 1954 წლის პირველი ორი თვის საწარმოო გეგმა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი მეფოლადე ი. მეტრეველი სისტემატურად ამცირებს ფოლადის დნობის დროს და გეგმის გადამეტებით იძლევა ნადნობს.

მახარაძის რაიონში ამომრჩეველთა შორის საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საარჩევნო უბნებთან დროზე შეიქმნა აგიტპუნქტები. აგიტპუნქტების გამგეებად შერჩეული და დამტკიცებული არიან პოლიტიკურად მომზადებული და გამოცდილი ამხანაგები. აგიტატორთა დასახმარებლად გაიმართა ზონალური და რაიონული თათბირები. განსაკუთრებით კარგად მოაწყეს საგიტაციო-მასობრივი მუშაობა ძიმითის, წვერმაღალას, ლაითურის, დვაბზუს, ნაბაურის და სხვა საარჩევნო უბნებთან შექმნილმა აგიტპუნქტებმა.

ასევე კარგად არის დაყენებული საგიტაციო-მასობრივი მუშაობა ქ. გორის, გურჯაანის, თელავის, სამტრედიის, ზუგდიდის, ცხაკაიას და რესპუბლიკის სხვა რაიონებში.

მაგრამ რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში ჯერ კიდევ სუსტად არის გაშლილი საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით. მაგალითად, წითელწყაროს რაიონში საარჩევნო უბნების ნაწილი სათანადოდ არ არის გაფორმებული ლოზუნგებითა და პლაკატებით. აგიტპუნქტებში საკმაო რაოდენობით არ არის საარჩევნო ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი დადგენილებანი. აგიტპუნქტები აგრეთვე უზრუნველყოფილი არ არიან გათბობითა და განათებით. ცუდად არის დაყენებული კინომომსახურება. თვეობით არ უჩვენებენ კინოსურათებს სოფლების საბათლოს, ოზაანისა და მირზაანის მოსახლეობას.

ასევე სუსტად მუშაობენ საჩხერის და სიღნაღის რაიონების ზოგიერთ საარჩევნო უბანთან არსებული აგიტპუნქტები. ხოლო ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები სათანადო ზომებს არ იღებენ აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

საარჩევნო კამპანია სულ უფრო ფართოდ ჩაღდება. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველმხრივ ავამაღლოთ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის დონე. აგიტატორები და პროპაგანდისტები გულდასმით უნდა აცნობდნენ ამომრჩევლებს იმ ამოცანებს, რომლებიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებით, პარტიისა და მთავრობის შემდგომი გადაწყვეტილებებით არის დასახული. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მშრომელებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვის გაცნობას. აგიტატორები სისტემატურად უნდა ესაუბრებოდნენ ამომრჩევლებს საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე, ხალხთა ძმურ მეგობრობაზე. მათ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა საშუალება უნდა გამოიყენონ დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლო აგიტაციისათვის.

საჭიროა გულისხმიერად დავუგდოთ ყური ამომრჩეველთა ხმას, დავუქიროთ მხარი საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის საქმიან კრიტიკას, დროზე გამოვეხმაუროთ მათ მიერ შემოტანილ ყველა ძვირფას წინადადებას და მივიღოთ ზომები ამ წინადადებათა განხორციელებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის წარმატებით მოსამზადებლად უნდა გამოვიყენოთ პოლიტიკური აგიტაციის ყველა ფორმა — საუბრები, კრებები, მოხსენებები, გაზეთების ხმამაღალი კითხვა, პლაკატები, რადიოგადაცემები, კედლის გაზეთები, კინო და სხვ.

ამომრჩევლებისათვის რეგულარულად უნდა მოვაწყოთ ლექციები და მოხსენებები შემდეგ თემებზე: სსრ კავშირის კონსტიტუცია; საარჩევნო კანონი; კომუნისტური პარტია, როგორც საბჭოთა ხალხის წარმმართველი და ხელმძღვანელი ძალა კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში; კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა; სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა; პარტიისა და მთავრობის ზრუნვა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის და სხვ. ამომრჩეველთა წინაშე ლექციებისა და მოხსენებების ჩასატარებლად ფართოდ უნდა მივიზიდოთ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, აგრეთვე საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები.

აგიტატორებისა და პროპაგანდისტების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ღრმად, შინაარსიანად და საინტერესოდ აწარმოონ აგიტაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ. გულმოდგინედ უნდა გავაცნოთ ამომრჩევლებს დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია, მისი შრომითი საქმიანობა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა.

საარჩევნო უბანში მთელი საგიტაციო-მასობრივი მუშაობა აგიტპუნქტის გარშემო უნდა იქნას თავმოყრილი. საჭიროა, რომ აგიტპუნქტში ამომრჩეველთათვის სისტემატურად ეწყობოდეს მოხსენებები, ლექციები, საუბრები, გაზეთების კითხვა.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა არჩევნებთან დაკავშირებით ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება, მიაღწიონ მასების შრომითი აქტივობის ახალ მძლავრ აღმავლობას, წარმართონ მშრომელთა აქტივობა პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების, პარტიისა და მთავრობის შემდგომი გადაწყვეტილებების წარმატებით განხორციელებისაკენ, მიმდინარე წლის საგაზაფხულო სამუშაოების სანიმუშოდ მომზადებისა და ჩატარებისაკენ, თვითეული საწარმოს მიერ გეგმების გადაჭარბებით განაღდებისაკენ, სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისაკენ.

პარტიის რაიკომებმა და საქალაქო კომიტეტებმა ყოველდღიური, კონკრეტული, საქმიანი დახმარება უნდა აღმოუჩინონ აგიტატორებს, პროპაგანდისტებს და მომხსენებლებს, სისტემატურად ჩაატარონ პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და აგიტპუნქტების გამგეების თათბირები და სემინარები, აგიტატორთა ზონალური და რაიონული კრებები, გაუზიარონ მათ მოწინავე აგიტპუნქტებისა და აგიტატორების მუშაობის გამოცდილება. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან იზრუნონ იმისათვის, რომ მთელი საარჩევნო ლიტერატურა, გაზეთები, ჟურნალები დროზე აღწევდეს სოფლამდე, ამომრჩევლამდე. უნდა ვიზრუნოთ აგრეთვე რადიოს და კინოს შეუფერხებელი მუშაობისათვის. არჩევნებთან დაკავშირებით ფართოდ უნდა გამოვიყენოთ თვალსაჩინო აგიტაციის ყველა საშუალება.

ახლოვდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე — 14 მარტი. დარჩენილი დღეები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ საგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობის შემდგომი გაჩაღებისათვის.

აქედანვე უნდა ვემზადოთ იმისათვის, რათა ამომრჩევლებს არჩევნების დღეს გავუწიოთ კულტურული მომსახურება — მოვაწყოთ მხატვრული თვითმოქმედების წრეების გამოსვლები, კონცერტები, კინოსურათების ჩვენება და სხვ. თვითეულ საარჩევნო უბანში გამოყოფილი და სათანადოდ მოწყობილი უნდა იყოს ოთახი დედებისა და ბავშვებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კაბინების მოწყობას საარჩევნო უბნებში, რათა ამომრჩევლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ სრულად განახორციელონ თავიანთი უფლება — ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში აირჩიონ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატები, ჩვენი სამშობლოს ღირსეული ადამიანები. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით ამომრჩევლები ხმას მისცემენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, მის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებას — ჩვენი სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომ აყვავებას, ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის განუხრელ ამაღლებას.

საბჭოთა ხალხი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ეგებება თავისი ძალების რწმენით აღსავსე, მჭიდროდ დარაზმული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო, რომელსაც ჩვენი ქვეყანა განუხრელად მიჰყავს წინ — კომუნიზმისაკენ.

**ს. ლიჟავა,**
საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების საგიტაციო-მასობრივი მუშაობის სექტორის გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝᲓ ᲩᲐᲕᲐᲢᲐᲠᲝᲗ ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ
# ᲕᲘᲑᲠᲫᲝᲚᲝᲗ ᲒᲐᲠᲐᲥᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

★ ★ ★ ★

## ჩვენი სამუშაო გეგმა




### ეს იყო 1953 წელს

მდინარე ლიახვის პირას მდებარეობს სოფელი კარალეთი. ორიათას ხუთასზე მეტ ჰექტარზეა გადაჭიმული ამ სოფლის საკოლმეურნეო მინდვრები. კოლმეურნეები და მექანიზატორები მთელი ენერგიით მუშაობენ საკოლმეურნეო დოვლათის სიუხვისათვის. ყოველწლიურად დიდდება კოლმეურნეობისა და კოლმეურნეთა შემოსავალი. 1953 წელს კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 6,9 მილიონ მანეთს მიაღწია. თვითეულ შრომადღეზე გაიცა 7 კილოგრამი მარცვლეული, 1,5 კილოგრამი ბოსტნეული, 1 კილოგრამი შაქარი და ფულად 17 მანეთი. მარტო მებოსტნეობიდან მიღებულია 382 ათას მანეთზე მეტი, მეხილეობიდან — 3 მილიონზე მეტი. ასეთივე დიდი შემოსავალია მიღებული მევენახეობიდან, მეჭარხლეობიდან და სხვა დარგებიდან.

საკოლმეურნეო დოვლათის სიუხვის შექმნაში ბევრი ნოვატორი გამოჩნდა. აი ბრიგადირი ვ. ჩუხრუკიძე. მისმა ბრიგადამ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 390 ცენტნერისა თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 550 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. დიდი გადამეტებით შეასრულა სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გეგმებიც. კარგი მუშაობისათვის ბრიგადის წევრებს შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით დაერიცხათ 1.258 შრომადღე.

საკოლმეურნეო შრომაში თავი ისახელეს აგრეთვე იმ ბრიგადებმა, რომელთა ხელმძღვანელები არიან მ. ჩუხრუკიძე, ს. ღოღიჯაშვილი, დ. მურადაშვილი და სხვები.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის — სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განსავითარებლად შარშან კოლმეურნეობამ ნაყოფიერად იმუშავა. ამის შედეგად შეასრულეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, თხისა და ცხვრის, ღორის სულადობის გეგმები, აქ ფართოდ ინერგება მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება, ისეთი პროგრესული მეთოდები, როგორიც არის ხბოების ხელზე კვება, მერძეული მაღალპროდუქტიული პირუტყვის ბაგური შენახვა. ფერმაში სრულიად ლიკვიდირებულია ძროხების ბერწიანობის შემთხვევები.

ამ მიღწევებთან ერთად კოლმეურნეობას ჰქონდა ჩრდილოვანი მხარეები. როგორც მებოსტნეობაში, ისე კარტოფილისა და სიმინდის წარმოებაში ნაკლებად იყო განხორციელებული მექანიზაცია. ყურადღება არ ექცეოდა მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას. საკმაო რაოდენობით არ შეჰქონდათ სასუქები ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლის გასადიდებლად. ამ მიზეზით კოლმეურნეობამ ვერ შეასრულა დავალება ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის დარგში. სიმინდის, ხორბლის, კარტოფილის მოსავლიანობის გეგმები მხოლოდ ნახევრად შესრულდა. დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობაც.

ეს ნაკლოვანებანი იმით იყო გამოწვეული, რომ კოლმეურნეობაში სრულად არ იყენებდნენ არსებულ რეზერვებს, ცალკეულ შემთხვევებში არ იცავდნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა აგროვადებს, ყველაფერი როდი გააკეთეს მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვისათვის. ყველა ამ საკითხზე წელს სამართლიანად გაამახვილეს ყურადღება კოლმეურნეებმა თავიანთ საანგარიშო კრებაზე.

**მ. ხეთაგური,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

### ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

⊙ კოლმეურნეობას 190 ჰექტარი კარგი ბაღი აქვს. 1953 წელს ხილის მოსავალი საშუალოდ ჰექტარზე 68,5 ცენტნერს შეადგენდა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 ცენტნერისა.

⊙ შარშან კოლმეურნეობამ 19 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 190 ცენტნერის ნაცვლად 250 ცენტნერი კომბოსტო მოიყვანა.

⊙ კოლმეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც მ. ჩუხრუკიძე ხელმძღვანელობს, 1953 წელს ხეხილის ბაღში მოკრიფა 1.898 ცენტნერი ვაშლი. გეგმა კი 857 ცენტნერის მოყვანას ითვალისწინებდა.

⊙ 1953 წელს კოლმეურნეობის წევრის ა. ჩუხრუკიძის ოჯახმა 1.100 შრომადღე გამოიმუშავა და შრომადღეების ანგარიშში მიიღო 8.250 კილოგრამი მარცვლეული, 1.100 კილოგრამი ბოსტნეული, 250 კილოგრამი შაქარი.

#### ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ

წელს ჩვენს კოლმეურნეობას მიცემული აქვს ახალი, გადიდებული დავალება. საგაზაფხულო კულტურები დაითესება 1.100 ჰექტარზე. მნიშვნელოვნად დიდდება ბოსტნეულისა და კარტოფილის ნათესი ფართობები. მარტო ბოსტნეულ კულტურებს დაეთმობა 92,5 ჰექტარი.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის გადიდებას. წელს შარშანდელთან შედარებით უნდა უზრუნველვყოთ საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის 12-15 პროცენტით გაზრდა.

კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდების საქმეში პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების გადასაჭრელად წელს მნიშვნელოვნად გავადიდებთ ამ კულტურათა მოსავლიანობას. კარტოფილის მოსავალი თვითეულ ჰექტარზე უნდა ავიყვანოთ 200 ცენტნერამდე ნაცვლად გეგმით ნავარაუდევი 120 ცენტნერისა, პამიდორის — 180 ცენტნერამდე ნაცვლად 90 ცენტნერისა. ასევე საგრძნობლად გავზრდით შაქრის ჭარხლის, ხილის, ყურძნის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობას.

მთელ ძალღონეს მოვახმართ მეცხოველეობის მთავარი ამოცანის შესრულებას — პირუტყვის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის სწრაფად გადიდებას.

#### ᲐᲒᲠᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲕᲐᲓᲔᲑᲘ

მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა აგროტექნიკური ვადების ზუსტად დაცვა. ამიტომ გადავწყვიტეთ საგაზაფხულოდ მთელი ფართობი ერთი თვით ადრე — 15 მარტამდე მოვხნათ. ამ სამუშაოს შეასრულებენ გორის მტს-ის მესამე და მეოთხე სატრაქტორო ბრიგადები (ბრიგადირები დ. თედლიაშვილი და ს. გოგიაშვილი) 8 ტრაქტორით, ხოლო სადაც ტრაქტორები ვერ იმუშავებენ, იქ გამოვიყენებთ 16 გუთნეულს. სულ საგაზაფხულო ხვნაზე იმუშავებს 64 კოლმეურნე.

აპრილში ბოსტნეული კულტურების დასარგავად (პამიდორი, კომბოსტო, წიწაკა და სხვ.) დავიწყებთ ნიადაგის მომზადებას (ხვნა, ნაკელის შეტანა, კვლების გაკეთება). ამავე თვეში მთლიანად დავამთავრებთ ბაღჩეულის თესვას. მაისში კვალსათბურებიდან ღია გრუნტში დავრგავთ პამიდორს, წიწაკას, კომბოსტოს. აღნიშნულ სამუშაოებს შეასრულებენ მე-14, მე-15 და მე-16 ბრიგადები (ხელმძღვანელები დ. პაპუკიშვილი, ა. თედლიაშვილი, ა. ადუაშვილი).

234 ჰექტარ ხეხილის ბაღებში საგაზაფხულო სამუშაოს შეასრულებენ მეხილეობის ბრიგადები, რომლებსაც ს. გოგიაშვილი, მ. ჩუხრუკიძე, დ. მურადაშვილი და სხვები ხელმძღვანელობენ. სიმეჩხრის ლიკვიდაციის მიზნით აპრილის პირველ ნახევარში მთლიანად დავამთავრებთ 1.000 ძირი ხეხილის გამორგვას. წამლობას ჩავატარებთ მექანიზებული წესით აგროტექნიკურ ვადებში.

15 მარტიდან შერჩევით შევუდგებით სიმინდის თესვას და დავამთავრებთ ვადაზე 12 დღით ადრე. წელს კვადრატულ-ბუდობრივი წესით სიმინდს დავთესავთ 400 ჰექტარზე მეტს.

კვადრატულ-ბუდობრივი წესით კარტოფილის რგვას დავიწყებთ მარტის ბოლო რიცხვებში და მოვრჩებით ათ სამუშაო დღეში. მარტის მეორე ნახევარში დავამთავრებთ შაქრის ჭარხლის თესვას 70 ჰექტარზე. თესვისათვის ნიადაგს წინასწარ სათანადოდ მოვამზადებთ.

მარტში მოვრჩებით საშემოდგომო თავთავიანი კულტურების გამოკვებისა და ფარცხვის სამუშაოებს, ხოლო აპრილში შევუდგებით საშემოდგომო ნათესების მარგვლას.

---

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების, მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ფართო პროგრამაა დასახული.

ეს კარგად გაითვალისწინა გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვების" გამგეობამ და წელს უხვი მოსავლისათვის ბრძოლის საკითხი ამთავითვე ყურადღების ცენტრში დააყენა. აქ საგაზაფხულო სამუშაოების სანიმუშოდ და აგროტექნიკურ ვადებში შესასრულებლად მოფიქრებულად, საქმის ცოდნით შეადგინეს სანიმუშო გეგმა და დაამტკიცეს კოლმეურნეთა საერთო კრებაზე.

გეგმის შედგენაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს როგორც გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებმა, ისე ბრიგადირებმა, მერგოლეებმა, სტახანოველმა კოლმეურნეებმა, მექანიზატორებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, მთელმა საკოლმეურნეო აქტივმა.

ქვემოთ ვბეჭდავთ მასალებს საგაზაფხულო სამუშაოთა სანიმუშო გეგმისა და კარალეთელ კოლმეურნეთა წარმატების შესახებ.

---

#### ᲙᲕᲐᲓᲠᲐᲢᲣᲚ-ᲑᲣᲓᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲗᲔᲡᲕᲐ

კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი წესით რგვისათვის 25 სანტიმეტრის სიღრმეზე მზრალად მოხნული გვაქვს მთელი ფართობი. ხვნის წინ თვითეულ ჰექტარზე შევიტანეთ 30 ტონა ნაკელი. კარგად დამუშავებული ნაკვეთი კულტივატორის საშუალებით დაიყოფა სწორკუთხოვან კვადრატებად. ხაზების კვეთაზე — თვითეულ ბუდეში დავრგავთ 2-3 ტუბერს. ბუდეებს შორის მანძილი 70 სანტიმეტრი იქნება. გათვალისწინებული გვაქვს თვითეულ ჰექტარზე გავაკეთოთ 20.500 ბუდე, ჰექტარზე მოვათავსოთ 41 ათასი ტუბერი. ეს საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ ნათესების გარდიგარდმო, ორმხრივი მექანიზებული დამუშავება.

კარტოფილის და სიმინდის თესვაზე იმუშავებენ მესამე და მეოთხე სატრაქტორო ბრიგადები (ბრიგადირები დ. თედლიაშვილი და ს. გოგიაშვილი), კოლმეურნეობიდან კი ამ სამუშაოში ჩაბმული იქნებიან ის ბრიგადები, რომლებსაც დ. პაპუკიშვილი, ა. თედლიაშვილი, რ. ადუაშვილი, ი. ბერიანიძე, ლ. მამუჩარაშვილი და გ. ჩალაური ხელმძღვანელობენ. თესვა დამთავრდება 10 აპრილამდე.

#### ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

კარგად ვიცით, რომ შრომის სწორი ორგანიზაცია წარმატების საფუძველია. კოლმეურნეობაში შრომისუნარიანია 1.334 კოლმეურნე. არის 17 საწარმოო ბრიგადა. აქედან მებოსტნეობის ბრიგადაა 4, მევენახეობისა — 2, მემინდვრეობისა — 8 და მეხილეობისა — 3. კოლმეურნეობამ ყველამ იცის როდის და რა მოვალეობა უნდა შეასრულოს საგაზაფხულო სამუშაოთა პერიოდში.

კოლმეურნეობაში დღემდე არ იყო ჩამოყალიბებული საკვებმოპოვების ბრიგადა. ეს დიდად უშლიდა ხელს მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. ამიერიდან შეიქმნება საკვებმოპოვების ერთი ბრიგადა.

საგაზაფხულო სამუშაოებზე იმუშავებს 12 ტრაქტორი, 3 სათესი მანქანა, ხეხილის შესაწამლი ერთი მანქანა. გარდა ამისა, გამოყენებულ იქნება 340 სული მუშა-პირუტყვი.

ქალთა შრომის უკეთ გამოყენების მიზნით სოფელ კარალეთში, დიდ და პატარა გარეჯვარში მოეწყობა საბავშვო ბაგები.

სამუშაო განაწილებულია პერიოდების მიხედვით.

**პირველი პერიოდი:** შეკეთდება სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, მომზადდება თესლი, მუშა-პირუტყვი გადაყვანილ იქნება გაძლიერებულ კვებაზე, იწყება სასათბურე მეურნეობის მოწესრიგება, სასუქების მომარაგება და მინდვრად გატანა.

**მეორე პერიოდი:** იწყება მზრალად ხნულის ფარცხვა, კულტივაცია, სასუქების შეტანა, აგრეთვე საშემოდგომო ჯეჯილების გამოკვება და ფარცხვა.

**მესამე პერიოდი:** ეს ის დროა, როცა უკვე მასობრივად ვიწყებთ საგაზაფხულო კულტურების თესვას.

**ბოლოს, მეოთხე პერიოდი:** ამ დროს ვამთავრებთ საგვიანო კულტურების თესვას, ბოსტნეულის გადარგვას, ჯეჯილის მარგვლას და ვიწყებთ ანეულის ხვნას.

#### ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ ᲑᲐᲖᲐ

საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით წელს გაზაფხულზე დავთესავთ სასილოსედ 60 ჰექტარ სიმინდს და უზრუნველვყოფთ თვითეულ ჰექტარზე 55 ცენტნერი სასილოსე მასის მიღებას. გარდა ამისა დავთესავთ 70 ჰექტარ მრავალწლიან და ერთწლიან ბალახებს. ასეთივე რაოდენობით დავთესავთ საკვებ ძირხვენებს. კარგი მოვლით მივაღწევთ იმას, რომ უკვე წელს თვითეულ ძროხაზე დავამზადოთ 5-6 ტონა სილოსი.

გავაუმჯობესებთ ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების გამოყენებამოვლის საქმეს. ფართოდ დავნერგავთ პირუტყვის შენახვის ბაგურ-ბანაკურ სისტემას მწვანე კონვეიერით, როგორც პროდუქტიულობის გადიდების ეფექტიან ღონისძიებას.

#### ᲛᲢᲡ-Ი ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲫᲐᲚᲐᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ

კოლმეურნეები, მექანიზატორები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები გულდასმით გავეცანით პარტიისა და მთავრობის მიერ მოწვეული მტს-ების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის მიმართვას, ჩავებით შეჯიბრებაში, კარგად ავწონ-დავწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი და ყველა ისინი გავითვალისწინეთ კოლმეურნეობის საწარმოო გეგმაში, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება გასული წლის საგაზაფხულო სამუშაოთა გეგმისაგან.

ფართოდ გამოვიყენებთ მოწინავეთა გამოცდილებას. მებოსტნეობაში დავნერგავთ ჩითილის გამოყვანას ნეშომპალა-მიწისა და ტორფ-ნეშომპალის ქოთნებში. პამიდორისა და საკონსერვო წიწაკის ადრეული ჩითილის მიღების მიზნით 10 მარტამდე მომზადდება 227.000 ქოთანი. ამ სამუშაოს შესასრულებლად გამოყოფილი არიან ბ. ადუაშვილი, გ. გოგიაშვილი, რ. ჩუხრუკიძე და სხვები.

კოლმეურნეებს მექანიზატორებთან მტკიცე მეგობრობა გვაქვს. ახლა მტს-ში შექმნილია მუდმივი კადრები. ჩვენს კოლმეურნეობაში მუდმივ სამუშაოდ მოიყვანეს გამოცდილი სპეციალისტები აგრონომები გ. დეკანოსიძე (მემინდვრეობაში), თ. კველიშვილი (მებოსტნეობაში). წელს იმუშავებს 12 ტრაქტორი, ნაცვლად შარშანდელი 8-ისა. ტრაქტორისტები არიან დ. ბედელაშვილი, გ. ბიბილაშვილი, ვ. ხარიბეგაშვილი, ა. გოგიაშვილი, კ. პაპუკიშვილი და სხვები. გასულ წელთან შედარებით წელს კოლმეურნეობაში მექანიზებული წესით საგაზაფხულო სამუშაოები ჩატარდება 379 ჰექტარით მეტი.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით მარტში დავამთავრებთ მეძროხეობის ფერმის სრულ მექანიზაციას.

#### ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ

კოლმეურნეობაში არსებობს დიდი რეზერვები, რომელთა გამოყენებით შესაძლებლობა მოგვეცემა ჩამორჩენილი დარგები ავიყვანოთ მოწინავეთა დონემდე, მივაღწიოთ საერთო აღმავლობას.

ეს რეზერვებია:

**პირველი** — ახალი მიწების ათვისებით შესაძლებელია კოლმეურნეობის სახნავ-სათეს ფართობს მიემატოს 60 ჰექტარზე მეტი. მარტო გაზაფხულზე ათვისებულ იქნება 23 ჰექტარი. კოლმეურნეობის სახნავ ფართობებში — ჭალებში, სალიქაურებში, სოფელ ქვეშის გზის გაყოლებით ბლომად არის უსარგებლო ხევები, გაუქმებული არხები. გარდა იმისა, რომ ეს ხელს უშლის მექანიზაციას, უსარგებლოდ ცდება ფართობებიც. მათი მოსწორებით კოლმეურნეობას შეემატება 20 ჰექტარზე მეტი მიწა. ეს სამუშაო აპრილ-მაისში შესრულდება.

**მეორე** — ბაღ-ვენახებში სიმეჩხრის ლიკვიდაციის შემდეგ კოლმეურნეობას შესაძლებლობა ექნება დამატებით მიიღოს 200 ტონაზე მეტი კურკოვან-თესლოვანი ხილი და 70-80 ტონამდე ყურძენი. გადაწყვეტილი გვაქვს გაზაფხულზე გამოვრგოთ 15 ათასი ძირი ვაზი, 1.500 ძირი ხეხილი.

**მესამე** — კოლმეურნეობაში გამოუყენებელია ორგანული სასუქის დიდი რაოდენობა. წელს დამატებით შევაგროვებთ და გამოვიყენებთ 2 ათას ტონამდე ნაკელს, 50 ტონა ნაცარს. სასუქების ეს მარაგი ძირითადად მოხმარდება ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის მოსავლიანობის გადიდებას. მოეწყობა საწუნწუხეები და ნაკელის საცავები.

#### ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

კარალეთის საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციაში 53 კომუნისტია, კომკავშირულ ორგანიზაციაში — 86 კომკავშირელი. ისინი კოლმეურნეობის პასუხსაგებ პოსტებზე არიან განაწილებულნი.

პარტიულ ორგანიზაციას შემუშავებული აქვს კონკრეტული ღონისძიებანი საგაზაფხულო სამუშაოების სანიმუშოდ მოწყობისათვის. გამოყოფილია 37 აგიტატორი, რომლებსაც მუშაობის სათანადო გამოცდილება აქვთ. ასეთები არიან თ. გოგაშვილი, ვ. ხარიბეგაშვილი, ზ. ღოღიჯაშვილი, ა. გურგენაშვილი და სხვები. კვირაში ერთხელ ეწყობა აგიტსემინარი.

საგაზაფხულო სამუშაოთა პერიოდში პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად მოაწყობს სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შემოწმებას, შედეგები გამოქვეყნდება კოლმეურნეობის კედლის გაზეთში. აგიტატორები ბრიგადებში გამოუშვებენ საველე ფურცლებს. მოწინავე ადამიანთა სურათები გამოიკვრება საპატიო დაფაზე, იქვე აღინიშნება მოპოვებული საწარმოო მაჩვენებლები. მოწინავე ბრიგადისათვის დაწესდება გარდამავალი წითელი დროშა.

კედლის გაზეთი ყოველ ორ კვირაში გამოვა. კოლმეურნეთათვის ხშირად ნაჩვენები იქნება კინოსურათები, გაიმართება ლექცია-მოხსენებები ადგილობრივი ძალებით და მოწვეული ლექტორებით. სრულყოფილად დავნერგავთ საკოლმეურნეო წარმოებაში საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების შესანიშნავ მიღწევებს, ადამიანთა შრომისა და ტექნიკის უნარიანი გამოყენებით სანიმუშოდ დავთესავთ საგაზაფხულო კულტურებს, მოვიყვანთ ბოსტნეულის, მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალ მოსავალს, რისთვისაც ფართოდ გავაჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლების მოპოვებისათვის.

**მ. ჯაშაშვილი** — კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **რ. გოგიაშვილი** — კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი, **გ. ნათიშვილი** — გორის მტს-ის დირექტორი, **ა. ნოზაძე** — გორის მტს-ის მთავარი აგრონომი, **გ. დეკანოსიძე** — გორის მტს-ის აგრონომი კოლმეურნეობაში, **დ. მურადაშვილი, ი. ჩუხრუკიძე** — ბრიგადირები, **ო. ხარიბეგაშვილი, ს. ღოღიჯაშვილი** — მერგოლეები, **მ. გოგიაშვილი, ნ. ღოღიჯაშვილი** — კოლმეურნეები, **დ. თედლიაშვილი** — გორის მტს-ის მესამე სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი.



სურათზე: კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. მ. ჯაშაშვილი საერთო კრებაზე კოლმეურნეებს აცნობს საგაზაფხულო სამუშაოთა გეგმის პროექტს.




### ეს იქნება 1954 წელს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში კარალეთში დიდი შრომითი აღმავლობაა. საკოლმეურნეო სოფლის სახელოვანი ადამიანები, გორის მტს-ის მექანიზატორები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ამომრჩევლებისადმი უპასუხებენ საგაზაფხულო თესვისათვის მზადების გაძლიერებით. ისინი კარგად ითვალისწინებენ, რომ უხვ მოსავალს მტკიცე საფუძველი გაზაფხულზე ეყრება. აქვთ ყველა სახის კონდიციური თესლი. წესრიგშია მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი.

კოლმეურნეობაში დამზადებულია 2.000 კვალსათბურის ჩარჩო. სათბურებთან მიზიდულია 1.000 ცენტნერზე მეტი ნაკელი. საბოსტნედ ნიადაგი მთლიანად მზრალად არის მოხნული. ბოსტნეულის მოსავლიანობის გასადიდებლად განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მწკრივთა შორის დამუშავების მექანიზაციას. დაინერგება ბოსტნეული კულტურების კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვა. საამისოდ მზად არის 200 ჩარჩო.

დასასრულს უახლოვდება მეძროხეობის ფერმისათვის 100 სულის ტევადობის ტიპური ბინის მშენებლობა. განხორციელდება შრომატევად სამუშაოთა სრული მექანიზაცია. დაიდგმება საწველავი აპარატები, მოეწყობა ფერმის შიდა ტრანსპორტი, წყალმომარაგების მექანიზაცია. გადადგმულია ნაბიჯები პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის. ამ მიზნით შეძენილ იქნება 40 სული მაღალპროდუქტიული ძროხა. მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით კოლმეურნეობაში განვითარდება სიმინდის, ჭარხლისა და სხვა ნათესების ფართობები, გაუმჯობესდება მათი მოყვანის აგროტექნიკა.

კარალეთი კიდევ უფრო კეთილმოწყობილი იქნება, აშენდება ორსართულიანი საკოლმეურნეო ადმინისტრაციული სახლი, სადაც მოეწყობა კოლმეურნეობის კანტორა, კლუბი, ბიბლიოთეკა, დამატებით აშენდება მეორე აბანო, დამთავრდება სოფლის მთლიანი რადიოფიკაცია. ათობით კოლმეურნე აიგებს ახალ ბინებს. ამ გაზაფხულზე დაირგვება ათასობით ძირი სხვადასხვა ჯიშის ხე. გაშენდება ქარსაცავი ზოლი 5 კილომეტრის სიგრძეზე.

წელს კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი 7,5 მილიონ მანეთს მიაღწევს. მნიშვნელოვნად გადიდდება შრომადღის ხვედრი და ამით კიდევ უფრო შეძლებული, სამური გახდება კოლმეურნეთა ცხოვრება.

კარალეთელი კოლმეურნეები და გორის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზატორები უფრო მეტი აქტივობითა და ინიციატივით მუშაობენ საკოლმეურნეო მინდვრებში მშობლიური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მთელ ძალებს, გამოცდილებას და ცოდნას ახმარენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების საქმეს.

**შ. ჩოჩუა,**
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

### ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

⊙ 1954 წელს კოლმეურნეობაში მოსავლიანობის გადიდების მიზნით კარტოფილი დაირგვება კვადრატულ-ბუდობრივად. გეგმით გათვალისწინებული 120 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე მიიღებენ 200 ცენტნერ კარტოფილს.

⊙ 1954 წელს კოლმეურნეობაში დამატებით გაიჭრება 1 კილომეტრი საერთო სიგრძის სარწყავი არხი. ამით სარწყავი გახდება კიდევ 150 ჰექტარი.

⊙ წელს საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით დაითესება 115 ჰექტარი საკვები კულტურები — შარშანდელზე 27 ჰექტარით მეტი.

⊙ კოლმეურნეობაში გორის მტს-მა მოაწყო სემინარი კვადრატულ-ბუდობრივი და კვადრატული თესვის საკითხებზე. სემინარზე სპეციალისტების მიერ წაკითხულია ლექციები თემებზე: „კარტოფილისა და სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვა", „ბოსტნეულის, კარტოფილისა და სიმინდის ნათესების მექანიზებული დამუშავება" და სხვ.

⊙ მევენახეობაში სიმეჩხრის ლიკვიდაციის მიზნით წელს კოლმეურნეობაში გათვალისწინებულია დარგონ ათასი ძირი ვაზი. გარდა ამისა, გააშენებენ 2 ჰექტარ ახალ ვენახს.

# გერმანიის საკითხის მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე გადაჭრისათვის

## დემოკრატიულ უფლებათა დაცვის და გერმანელი პატრიოტების დაცვის ცენტრალური საბჭოს განცხადება

ბერლინი, 1 მარტი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტოს კორესპონდენტი ჰამბურგიდან იუწყება: დემოკრატიულ უფლებათა დაცვის და გერმანელი პატრიოტების დაცვის ცენტრალურმა საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მკვეთრად გმობს ადენაუერის პოზიციას გერმანიის გაერთიანების საკითხში.

შემდეგ რეზოლუციაში ნათქვამია: „ოთხი სახელმწიფოს თათბირის მოწვევის ფაქტმა ცხადყო, რომ მოლაპარაკებამ საგრძნობი შენელება გამოიწვია საერთაშორისო პოლიტიკაში. მეტად სხვადასხვა ეკონომიური და იდეოლოგიური პრინციპების მქონე სახელმწიფოებმა შეძლეს მოსალაპარაკებლად შეხვედროდნენ ერთმანეთს; რატომ არის შეუძლებელი მოლაპარაკება აგრეთვე დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის მთავრობათა შორის? გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას უკვე არაერთგზის დაუმტკიცებია მზადყოფნა ამისათვის. მხოლოდ დასავლეთ გერმანიის მთავრობა ამბობს უარს მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე".

# გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეოთხე ყრილობისათვის მზადება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 1 მარტი. (საკდესი). ბერლინის დემოკრატიული პრესა იუწყება, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში გაიმართა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის საოლქო კონფერენციები, რომლებზეც, კერძოდ, აირჩიეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეოთხე ყრილობის დელეგატები. ეს ყრილობა გაიხსნება 1954 წლის 30 მარტს.

საოლქო პარტიული კონფერენციები გაიმართა ლაიპციგში, როსტოკში, კოტბუსში, ოდერის ფრანკფურტსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა საოლქო ცენტრებში.

გაზეთი იუწყება, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელნი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ყრილობის აღსანიშნავად კისრულობენ ვალდებულებებს მთლიანად და გადამეტებით შეასრულონ საწარმოო გეგმები.

ლაიპციგის საოლქო პარტიულ კონფერენციაზე მოვიდნენ სახალხო საწარმო „ბრაუნკოლენვერკბორნის" მაღაროელები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ამ საწარმოს მუშებმა მიმდინარე წლის 25 თებერვლისათვის შეასრულეს თებერვლის გეგმა და გეგმის გადამეტებით ამოიღეს 2.187 ტონა ბრიკეტი, 9.225 ტონა ქვანახშირი და პირველ ადგილზე გამოვიდნენ ლაიპციგის ოლქის მაღაროელთა შეჯიბრებაში.

# „ევროპის არმია" საფრანგეთის უშიშროებისათვის საფრთხეს წარმოადგენს

პარიზი, 1 მარტი. (საკდესი). დემოკრატიული პრესის ცნობები მოწმობენ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ მოძრაობის ზრდას. გაზეთი „ლუმანიტე" წერს, რომ 28 თებერვალს ქალაქებში ნიმში (გარის დეპარტამენტი), ნიორში (დე-სევრის დეპარტამენტი), კავაიონში (ვოკლუზის დეპარტამენტი) და სხვა ქალაქებში გაიმართა გლეხთა ყრილობები მშვიდობისა და საფრანგეთის სოფლის მეურნეობის დასაცავად. ყრილობების დელეგატები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ „ევროპის არმიის" საფარით რევანშისტული ვერმახტის აღდგენა საფრანგეთის ეროვნული დამოუკიდებლობისა და უშიშროებისათვის საფრთხეს წარმოადგენს. „საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხები დაინტერესებული არიან თავიანთი ძალების გაერთიანებით, — განაცხადა გარის დეპარტამენტის გლეხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ნეგრმა. — სულ სხვადასხვა პოლიტიკური რწმენის ფრანგები ეწინააღმდეგებიან ევროპის თავდაცვითს გაერთიანებას".

კიიანის კომუნის (ოდის დეპარტამენტი) მუნიციპალურმა საბჭომ, რომლის შემადგენლობაშიც 11 სოციალისტი და 10 რადიკალია, მშვიდობის ადგილობრივი საბჭოს წინადადებით ერთხმად გამოთქვა აზრი ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ.

საფრანგეთის პარლამენტის წრეებში დიდი შეშფოთება გამოიწვია იმან, რომ ბონის ბუნდესტაგმა 26 თებერვალს მიიღო კონსტიტუციის შესწორება, რომელიც პრაქტიკულად შესაძლებლობას აძლევს ადენაუერის მთავრობას დასავლეთ გერმანიაში აღადგინოს სავალდებულო სამხედრო ბეგარის სისტემა. ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, ეროვნული კრების დეპუტატმა გასტონ პალევსკიმ (დეგოლელი) შეკითხვა მისცა საგარეო საქმეთა მინისტრს, თუ რას აპირებს საფრანგეთის მთავრობა ბუნდესტაგის მიერ ამ შესწორების მიღებასთან დაკავშირებით, რაც ფედერალური რესპუბლიკის „სტატუსს აშკარად არღვევს". პალევსკიმ მოითხოვა, რომ საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა გერმანიაში პროტესტი განაცხადოს ამ შესწორების მიღების წინააღმდეგ.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, გასტონ პალევსკიმ, აგრეთვე ეროვნული კრების დეპუტატმა, პროგრესულ რესპუბლიკელთა კავშირის წევრმა ჟილბერ დე შამბრენმა ასეთივე წინადადებანი შეიტანეს ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისიაში.

# ლიბანის ახალი მთავრობა

ბეირუთი, 1 მარტი. (საკდესი). როგორც ბეირუთის რადიო იუწყება, ლიბანის ახალი მთავრობა ჩამოყალიბებულია შემდეგი შემადგენლობით:

პრემიერ-მინისტრი, ფინანსთა მინისტრი და ინფორმაციის მინისტრი—აბდალაჰ იაფი; საგარეო საქმეთა მინისტრი და იუსტიციის მინისტრი — ალფრედ ნაკაში; თავდაცვის მინისტრი — მაჯიდ არსლანი; საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი — გაბრიელ მური; ეროვნული ეკონომიკის მინისტრი და სოციალურ საქმეთა მინისტრი — რაშიდ კარამა; ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი და სოფლის მეურნეობის მინისტრი — ყაზემ ალ-ჰალილი; განათლების მინისტრი და ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი — ნიკოლა სალემი; შინაგან საქმეთა მინისტრი — ჟორჟ ჰირაუი.

# დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის ღია წერილი

ლონდონი, 2 მარტი. (საკდესი). დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომმა გამოაქვეყნა ღია წერილი ლეიბორისტული პარტიის წევრების, პროფკავშირთა წევრებისა და კოოპერაციული მოძრაობის მონაწილეებისადმი. ამ წერილით იგი მოუწოდებს მათ დაიწყონ ინგლისში მასობრივი კამპანია დასავლეთ გერმანიის ხელახალი შეიარაღების წინააღმდეგ.

წერილში ნათქვამია: „ინგლისის მუშათა მოძრაობას შეუძლია ხელი შეუშალოს და კიდევაც უნდა შეუშალოს ხელი გერმანელი მილიტარისტების ხელახალ შეიარაღებას. მშვიდობისა და ინგლისელი ხალხის წინააღმდეგ დანაშაული იქნება, რომ ხელახლა ჩაუგდონ ხელში იარაღი იმათ, ვისაც ბრალად ედება ორი მსოფლიო ომის გაჩაღება. მაგრამ სწორედ ასეთია ამერიკის მთავრობისა და ინგლისის კონსერვატიული მთავრობის მიზანი, მათ სურთ მიაღწიონ იმას, რომ შეიქმნას ევროპის თავდაცვითი გაერთიანება, რაც ნიშნავს დასავლეთ გერმანიის ხელახალ შეიარაღებას..."

წერილში აღნიშნულია, რომ დასავლეთ გერმანიის ხელახალი შეიარაღების ოფიციალური პოლიტიკის საწინააღმდეგო მოსაზრებანი, რომლებიც გამოითქვა ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციასა და ეროვნულ აღმასკომში, ასახავს დასავლეთ გერმანიის ხელახალი შეიარაღების პოლიტიკის გამო ინგლისელ ხალხში არსებულ უძლიერეს უკმაყოფილებას. „მიუხედავად მემარჯვენე ხელმძღვანელობის ყველა ღონისძიებისა, მან შეძლო სრულიად უმნიშვნელო ხმის უმრავლესობა მიეღო ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციაში თავისი პოლიტიკის მხარდასაჭერად. ახლა რომ მოიწვიონ ლეიბორისტული პარტიის სპეციალური კონფერენცია, იგი ხმის დიდი უმრავლესობით უარყოფს წინადადებას დასავლეთ გერმანიის ხელახალი შეიარაღების შესახებ.

ინგლისში რომ გაჩაღდეს მოძრაობა გერმანიის ხელახალი შეიარაღების წინააღმდეგ, ნათქვამია შემდეგ წერილში, ევროპის ყველა ქვეყანა მიბაძავს ამ მაგალითს და „ამერიკის პოლიტიკა — ომის პოლიტიკა ჩაიფუშება".

ეხება რა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირს, აღმასკომი თავის წერილში აღნიშნავს, რომ მოწესრიგების გზაზე მთავარი დაბრკოლება ის იყო, რომ დასავლეთი დაჟინებით მოითხოვდა გერმანიის ხელახალ შეიარაღებას.

საბჭოთა კავშირის წინადადების გამო, რომ დაიდოს სრულიად ევროპის ხელშეკრულება ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ, წერილში ნათქვამია: „ასეთ წინადადებას სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდეს განსაკუთრებით ინგლისი, რადგან მისი მიღება ბოლოს მოუღებს გერმანიის აგრესიის საფრთხეს და მშვიდობიანი განვითარებისა და ვაჭრობისათვის ახალ შესაძლებლობას შექმნის. ეს წინადადება დასავლეთმა ისე უარყო, რომ არც კი განუხილავს. მუშათა მოძრაობამ უნდა მოითხოვოს, რომ გაიმართოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის ამ წინადადებათა შესახებ".

დასასრულ კომპარტიის აღმასკომი მოუწოდებს დაიწყონ ფართო კამპანია, რათა შეწყდეს დასავლეთ გერმანიის ხელახალი შეიარაღება, დაიდოს სრულიად ევროპის ხელშეკრულება ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ, შეიქმნას ერთიანი მშვიდობისმოყვარე გერმანია, მოწესრიგდეს შორეული აღმოსავლეთის საკითხი და მოწვეულ იქნას ხუთი სახელმწიფოს თათბირი საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად.

# ნეჟლენის განცხადება

პარიზი, 2 მარტი. (საკდესი). გაზეთებში გამოქვეყნდა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ნეჟლენის განცხადება სოციალისტური პარტიის მორბიანის დეპარტამენტის ფედერაციის კონფერენციაზე.

თავის განცხადებაში ნეჟლენმა გამოთქვა სურვილი, რომ ჟენევის მომავალმა თათბირმა შექმნას შესაძლებლობა დაიწყოს მოლაპარაკება, რომელმაც უნდა გამოიწვიოს „ჩვენს ქვეყანაში სამარი მოქმედების შეწყვეტა, რამდენადაც ორი ომით გამოფიტულ საფრანგეთს აღარ შეუძლია განაგრძოს თავისი ღონისძიებანი კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით".

ნეჟლენმა გაილაშქრა აგრეთვე ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ.

# ინციდენტი ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატაში

ნიუ-იორკი, 2 მარტი. (საკდესი). როგორც სააგენტოები იუწყებიან, გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის სხდომის დროს საზოგადოებისათვის განკუთვნილი ქანდარიდან რამდენჯერმე ესროლეს ტყვია კონგრესის წევრებს. როგორც გამოირკვა, ისროლეს პუერტორიკოელებმა, რომლებიც ყვიროდნენ: „ჩვენი ქვეყანა არ არის თავისუფალი. გაათავისუფლეთ პუერტო-რიკო".

დაიჭრა პალატის ხუთი წევრი: ორი რესპუბლიკელი — ბენტლი (მიჩიგანის შტატი) და ჯენსენი (აიოვის შტატი) და სამი დემოკრატი — დევისი (ტენესის შტატი), რობერტსი (ალაბამის შტატი) და ფოლონი (მერილენდის შტატი).

როცა პოლიციამ შეიპყრო თავდამსხმელნი — პუერტორიკოელი ორი მამაკაცი და ერთი ქალი, რათა პოლიციის განყოფილებაში გაეგზავნა ისინი, ერთმა მათგანმა პუერტო-რიკოს ალამი ააფრიალა. ქალმა, რომელმაც განაცხადა, ლოლიტა ლებრონი ვარო, დაიძახა: „მე თავისუფლება მსურს ჩემი ქვეყნისათვის, ჩემი ქვეყანა თავისუფალი უნდა იყოს".

# სუდანის ამბები

პარიზი, 1 მარტი. (საკდესი). დღეს სუდანის პარლამენტის გახსნის დღესასწაულზე ქალაქ ხართუმს ჩავიდა ეგვიპტის პრეზიდენტი გენერალი ნაგიბი.

ფრანს პრესის სააგენტოს ხართუმელი კორესპონდენტი იუწყება, რომ დემონსტრაციამ, რომელიც გაიმართა პრეზიდენტ ნაგიბის ხართუმს ჩასვლის აღსანიშნავად, გამოიწვია „დამოუკიდებლობის მომხრეთა" კონტრდემონსტრაცია.

იმ მომენტში, როცა პრეზიდენტი ნაგიბი მივიდა სუდანის გენერალ-გუბერნატორის რეზიდენციაში, რამდენიმე ათეული ათასი დემონსტრანტი შეიკრიბა ამ შენობასთან. ზოგი მიესალმა ნაგიბს, ზოგი გაიძახოდა „გაუმარჯოს დამოუკიდებლობას!". ორი პარტიის მომხრეთა, აგრეთვე დემონსტრანტებისა და პოლიციის შეტაკების შედეგად არის 19 მოკლული და რამდენიმე ასეული დაჭრილი. პოლიციამ რამდენჯერმე ატეხა სროლა.

ამ ამბებთან დაკავშირებით სუდანის პარლამენტის გახსნა გადაიდო. ხართუმში შემოღებულია საგანგებო წესები.

# სპორტის ამბები

## საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ბუქარესტში

ბუქარესტი, 2 მარტი. (საკდესი). გუშინ გაიმართა ბუქარესტის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მესამე ტური. ყაიმით დამთავრდა პახმან-ვეიდის, ო'კელი-ვოიკულესკუს, შანდორ-პაოლის პარტიები.

ჩოკოლტია-კორჩნოის, სლივა-ბოლმოვის, ნეჟმეტდინოვ-ფილიპის, კლიუგერ-ფურმანის, ტროიანესკუ-შტალბერგის, საბო-ბელენელის პარტიები გადაიდო.

## მსოფლიო პირველობაზე შაიბიან ჰოკეიში

სტოკჰოლმი, 1 მარტი. (საკდესი). საღამოს თამაშობდნენ შვეციისა და კანადის გუნდები. შვედმა ჰოკეისტებმა პირველი დიდი დამარცხება განიცადეს. თამაში დამთავრდა ანგარიშით 8:0 კანადის გუნდის სასარგებლოდ.

სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და კანადის გუნდებს ახლა აქვთ ექვს-ექვსი ქულა, შვეციის გუნდს — 4 ქულა, დასავლეთ გერმანიის გუნდს — 1 ქულა, შვეიცარიისას — 1 ქულა.

## „სსრ კავშირის თასზე" რუსულ ჰოკეიში

მოსკოვში „დინამოს" ცენტრალური სტადიონის სასრიალოზე 27 თებერვალს გაიმართა პირველი ნახევარფინალური შეჯიბრება „სსრ კავშირის თასზე" რუსულ ჰოკეიში. საზოგადოება „ზენიტის" მოსკოვის გუნდი შეხვდა ხაბაროვსკის ოფიცრის სახლის გუნდს.

დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს ხაბაროვსკელმა ჰოკეისტებმა, რომლებმაც მოიპოვეს ფინალში თამაშის უფლება. (საკდესი).

## მოთხილამურეთა საკავშირო შეჯიბრება

28 თებერვალს მოსკოვში ლენინის გორაზე დამთავრდა მოთხილამურეთა სრულიად საკავშირო შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სასპორტო საზოგადოებათა 100-ზე მეტმა უძლიერესმა მოთხილამურემ.

საუკეთესო შედეგები აქვს სპორტსმენ კ. ვლასოვს („ქიმიკოსი"). იგი სიგრძეზე გადახტა 55 და 56 მეტრზე.

კ. ვლასოვს მიეკუთვნა საბჭოთა კავშირის 1954 წლის ჩემპიონის წოდება ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში. (საკდესი).

## საქართველოს პირველობა ჭადრაკში

მეხუთე ტურში მხოლოდ ფრუიძე-მაჭავარიანის შეხვედრა დარჩა დაუმთავრებელი.

შიშოვმა კარგად გამოიყენა ჯაკობიას მცდარი სვლა და მოიგო პარტია. მიქაელიანი ვერ გაერკვია გურგენიძის მიერ არჩეულ რთულ სადებიუტო სისტემაში და 21-ე სვლაზე წააგო შეხვედრა.

ელიოზიშვილმა ნიკოშვილის მეფეზე პირდაპირი იერიშით მოიპოვა გამარჯვება. კალატოზიშვილმა დაამარცხა სმირნოვი.

გიორგაძე-ბლაგიძის, არნშტეინ-ბუსლაევისა და ჯახუა-ჩიქოვანის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

ხუთი ტურის შემდეგ ა. ბუსლაევს აქვს 4 ქულა, მ. შიშოვს, ბ. გურგენიძეს და ო. ელიოზიშვილს — 3½ ქულა თვითეულს.

# თბილისი



თბილისი. ახალი საცხოვრებელი სახლი ფალიაშვილის ქუჩაზე.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

## ა. პ. გოკიელი — ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა ა. პ. გოკიელმა უნივერსიტეტის ეკონომიური, ფილოსოფიის, ისტორიის და იურიდიული ფაკულტეტების სამეცნიერო საბჭოების გაერთიანებულ სხდომაზე ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „საბჭოთა ფინანსების მეცნიერების შინაარსი და აგებულება".

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ა. პ. გოკიელისათვის ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ქალაქის [illegible] ბიბლიოთეკა

## ვოლგის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტები

თბილისში საგასტროლოდ ჩამოსულია იაროსლაველის სახელმწიფო ფილარმონიასთან არსებული ვოლგის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელმაც კონცერტები გამართა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში.

ვოლგის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, რომლის ხელმძღვანელია ე. როჟდესტვენსკი, თბილისელებს უჩვენა თავისი საუკეთესო ნომრები — ა. ალექსანდროვის „სიმღერა პარტიაზე", ძველი რუსული სიმღერები „მანჯურიის მთებზე", „ამურის ტალღები", სიმღერა ბაიკალზე, სიმღერა ვოლგელ დევგმირზე. მოცეკვავეთა ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობს ი. კარეინი, შეასრულა „იაროსლავლური კადრილი", „ფერხული", „ახალგაზრდობის სპორტული ცეკვა". ლამაზად ჟღერს რუსული ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრი.

ვოლგის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს წარმატება ხვდა.

## «მნათობი» № 2

გამოვიდა და ხელისმომწერლებს ურიგდება ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „მნათობი" № 2.

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები: მხატვრული ლიტერატურის განყოფილება — ი. მოსაშვილის „გზა მომავლისა" (ისტორიული დრამა 4 მოქმედებად), კ. ბობოხიძის — „სიმღერა საბჭოთა არმიაზე" (ლექსი), ა. გეწაძის — „ცრემლები და სიცილი" (ლექსები), გ. ჩიკვაიძის — „კუნძულ ბელუხასთან" (მოთხრობა), ე. აროსიას — „თებერვლის დილა" (ლექსი), ვ. სობკოს „გული" (მოთხრობა, მთარგმნელი პ. აბრამია); კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება — გ. ხაჭაპურიძის — „საქართველოს შეერთება რუსეთთან" (წერილი), პ. ბახტურიძის — „ირაკლი აბაშიძის პოეზია" (წერილი), ი. ენიკოლოფაშვილის — „ა. ს. გრიბოედოვი საქართველოში" (წერილი), ლ. ასათიანის — „მარიამ გარიყული" (წერილი).

# სასამართლოს დარბაზიდან

## მძარცველ ბანდიტებს — ღირსეული სასჯელი

ნოდარ კაკაბაძე და შოთა სიხარულიძე საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას გაურბოდნენ, ქეიფსა და ლხინში ატარებდნენ დღეებს... პირველი ნასამართლობიდან საჭირო დასკვნები არ გააკეთეს. მუქთახორობას, ზნედაცემულობას, გახრწნილებას შეჩვეულნი, ხშირად ძმაკაცებთან ერთად ღრიანცელით ჩაუვლიდნენ ხაშურის ქუჩებს.

...გასული წლის 26 დეკემბრის სუსხიანი საღამოა. ახალქალაქიდან თბილისისაკენ მიმავალი ავტომანქანა ხაშურის რესტორანის წინ შეჩერდა. ავტომანქანიდან გადმოსული მგზავრები ს. გრიგორიანი, გ. ი-ა და სხვები სასაუზმოდ შევიდნენ. იქ ერთ-ერთ მაგიდასთან ნ. კაკაბაძე მეგობრებთან ერთად ხმაჩახლეჩილი გასძახოდა ვარხალალოს... მოქეიფენი გაფაციცებით მიაშტერდნენ უცნობ სტუმრებს, აათვალჩაათვალიერეს და ღიმილით დატოვეს დარბაზი.

— გეთაყვა, თუ შეიძლება თბილისში ჩვენც წაგვიყვანეთ, — მობოდიშებით მიმართეს კაკაბაძემ, სიხარულიძემ და მათმა დამქაშებმა უცნობ სტუმრებს, რომლებიც რესტორანიდან გამოსვლის შემდეგ ავტომანქანაში სხდებოდნენ.

სამ კილომეტრს რომ გასცდნენ ხაშურს, კაკაბაძემ მეგობრებთან: თ. მაისურაძესთან, დ. ჰიპაშვილთან და სხვებთან ერთად დატოვა ავტომანქანა.

— გმადლობთ, — მხოლოდ ესა თქვეს და თან ახალგაზრდა გოგონას გ. ი-ას ხელი სტაცეს, ცივი იარაღის მუქარით მანქანიდან თოვლზე გაათრიეს და გააუპატიურეს. მძარცველმა ბანდიტებმა მგზავრებს წაართვეს საათი, ტანსაცმელი, ფული, სხვადასხვა ნივთები და მიიმალნენ...

მაგრამ დამნაშავეთა გზა მოკლე აღმოჩნდა. ბოროტმოქმედთა ჯგუფი მილიციის ორგანოებმა იმავე ღამეს შეიპყრეს.

მძარცველ ბანდიტთა საქმე ამ დღეებში გაარჩია ხაშურის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ. ბოროტმოქმედებს ნ. კაკაბაძეს და შ. სიხარულიძეს მიესაჯათ თვრამეტ-თვრამეტი წლის პატიმრობა, პირადი ქონების კონფისკაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ ხუთ-ხუთი წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა; მძარცველთა ჯგუფის მონაწილეებს და ხელისშემწყობთ: ნ. მჭედლიძეს, დ. ჰიპაშვილს, თ. მაისურაძეს, ჯ. დეკანოიძეს, ჯ. ქურდაძეს, დ. სიხარულიძეს, ვ. ტაბუცაძეს და სხვებს შეეფარდათ სასჯელის სხვადასხვა ზომა.

დარბაზში დამსწრენი განაჩენს კმაყოფილებით შეხვდნენ.

ა. სხვაველი.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.


**ყურადღება!**

**400-დან 100.000 მანეთამდე შეიძლება მოიგოთ სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციებით**

**1954 წლის 30 მარტს ქალაქ ბაქოში შედგება სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა მორიგი 38-ე ტირაჟი**

ამ ტირაჟში სულ გათამაშდება 23.251.000 მანეთი თანხის 42.500 მოგება, მათ შორის 50.000, 25.000, 10.000, 5.000, 1.000 და 400-მანეთიანი მოგებანი.

ყოველწლიურად იმართება სესხის მოგებათა ექვსი ძირითადი ტირაჟი — 30 იანვარს, 30 მარტს, 30 მაისს, 30 ივლისს, 30 სექტემბერს, 30 ნოემბერს და მოგებათა ერთი დამატებითი ტირაჟი — 30 სექტემბერს.

სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

შეიძინეთ სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

**შემნახველ სალაროებში შეტანილი ანაბრები ხელს უწყობენ სახალხო მეურნეობის განვითარებას**

1954 წლის აპრილის პირველ რიცხვებში ჩატარდება საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში შეტანილი მომგებიანი ანაბრების მოგებათა მორიგი 23-ე ტირაჟი.

ყოველ ათას ანგარიშზე ტირაჟში გათამაშდება 25 მოგება, მათ შორის:

ერთი მოგება 200%-ის ოდენობით, ორი მოგება თითო 100%-ის ოდენობით და ოცდაორი მოგება თითო 50%-ის ოდენობით განვლილი ნახევარი წლის ანაბრების საშუალო ნაშთისა.

რაც უფრო დიდია ანაბრების თანხა და რაც უფრო მეტი ხნით ინახება შემნახველ სალაროში, იმდენად დიდია მოგების თანხა.

მომგებიანი ანაბრების ანგარიშები, რომლებიც დახურულია ტირაჟის ჩატარებამდე, მოგებათა ტირაჟში არ მონაწილეობენ.

მომგებიან ანაბრებს იღებს ყველა შემნახველი სალარო.

ყველა მოქალაქეს შეუძლია ერთ ან რამდენიმე შემნახველ სალაროში იქონიოს მომგებიანი ანაბრების ანგარიშების განუსაზღვრელი რაოდენობა.

სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისადმი მინდობილი ფულადი თანხებისა და ფასეულობის შენახულობა გარანტირებულია სსრ კავშირის მთავრობის მიერ.

ცნობებს მეანაბრეების, მათ მიერ შესრულებული ოპერაციებისა და ანაბრების ანგარიშების მდგომარეობის შესახებ შემნახველი სალაროები საიდუმლოდ ინახავენ.

შეიტანეთ ფული მომგებიან ანაბრებზე შემნახველ სალაროებში.

**საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.**

მოქალაქე ლიდა იაკობის ასულმა ქორიძემ, მცხოვრებმა ქ. თბილისში, მილიციის ქ. № 29, აღძრა საქმე ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ სასაში მცხოვრებ მოქალაქე გელა ივანეს-ძე ონიანთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე ვახტანგ ერასტის-ძე ჯოჯუამ, მცხოვრებმა ახალქალაქში, მალენკოვის ქ. № 23, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ როზა გიორგის ასულ ჯოჯუასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგია.


**საქართველოს კ. პ. თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებულ ლექტორიუმში**

3 მარტს საღამოს 8 საათზე ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში მოეწყობა საუბარი, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის საქმის დიდი გამგრძელებლის ი. ბ. სტალინის გარდაცვალების წლისთავისადმი. საუბარს ჩაატარებს დოცენტი ა. კიკვიძე.

ამავე დღეს საღამოს 8 საათზე მოეწყობა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტთა სემინარის მეცადინეობა თემაზე: „თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა". სემინარის ხელმძღვანელია დოცენტი ვ. სიგუა.

**ოპერისა და ბალეტის თეატრი**

| | |
|---|---|
| 3 მარტს | ჯ. ვერდი — აიდა |
| 4 მარტს | დ. თორაძე — გორდა |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**დღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში**

(სპექტაკლების დასაწყისი 8 საათზე)

რუსთაველის სახელობის — დონ სეზარ დე ბაზანი, მარჯანიშვილის სახელობის — კოლმეურნის ქორწინება, გრიბოედოვის სახელობის — ვაი ჭკუისაგან, მუსიკალური კომედიის — რაც გინახავს, ვეღარ ნახავ, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები (აბონემენტი № 33, 10 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — საგანგებო დავალება (10 ს.).

• • •

რუსთაველის სახელობის, ამირანი, თბილისი, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — ძახველის ჰალა, 26 კომისრის, ოქტომბერი, სპარტაკი — მოსაგვარებელი საქმე.


**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** აცხადებს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წ. 15 მარტს დღის 3 საათზე № 86 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ბივი ვარლამის-ძე მიქაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მამუკა ბარათაშვილი (ცხოვრება და შემოქმედება)"**.

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი ალ. ბარამიძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი პ. ბერაძე.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.


თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ნერვების სნეულებათა კათედრისა და რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკის საავადმყოფოს ნერვების სნეულებათა განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან პროფესორ **არკადი ფილიპეს-ძე გოცირიძის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან პროფესორ **არკადი ფილიპეს-ძე გოცირიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე სონა, შვილები ლიდა, ქსენია, თამარ, ჰოლა, მიხეილ, რძალი ვერა, სიძეები გრ. ლომინაძე, ბ. ბერიძე და შვილიშვილები იუწყებიან **იაგორ გაბრიელის-ძე დოლიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-III სოფ. ძიმითში (მახარაძის რაიონი).

შვილი ედუარდ, დები ფაცურია, პელაგია, ძმა ანდრო ცოლშვილით, სიძე ბეჟან რუხაძე, დისწულები ბუდუ როგოვი, ნანული, მზია რუხაძეები იუწყებიან **შალვა ყარამანის-ძე ქუთათელაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-III, 5 ს. ქ. წულუკიძეში.

მეუღლე ანა, შვილები ნინო, რუსუდან, სიძე ბიძინა, შვილიშვილები ჯემალ, მაგული ქარჩავები იუწყებიან **ტარას ფილიპეს-ძე ჩიქობავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-III ს. საჩიქობაოში (ცხაკაიას რაიონი).

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ზოგადი ჰიგიენის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან **ეკატერინე სოლომონის ასულ ნათაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე მერი, შვილები ეთერ, რეზო, მარგო, სოსო, ლერი, მაყვალა, თამაზ, სიძე ვ. შალამბერიძე, ცოლისდები ფატულა, არმიდა დადიანები, ქვისლები ი. კარტოზია, ვ. ენუქიძე შვილებით იუწყებიან **ნიკოლოზ სისოს-ძე კარტოზიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-III ნოქალაქევში.

დარო, ლუარსაბ, ვახტანგ, მიხეილ, ირაკლი, მარო, ეთერ ჯანდიერები ოჯახებით იუწყებიან ბებიის **ეკატერინე სოლომონის ასულ ნათაძის** გარდაცვალებას.

ძმა ნიკოლოზ, რძლები სოფიო, მარიამ, მანია, სარა, თამარ, ძმისწულები მარიამ, რუსუდან, ნადია, ელენე, მიხეილ, შოთა, თენგიზ მენთეშაშვილები, სიძეები შ. მეტრეველი, შ. ჩანთლაძე, ა. გეწაძე იუწყებიან **ნატალია შავლიაშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე მიხეილ, შვილები კოტე, აპოლონ, რაჟდენ, გაიანე, რძლები გოგუცა, ზინა, ტონია, ტატიანა და შვილიშვილები იუწყებიან **ეფროსინე პეტრეს ასულ კანკიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-III სოფელ ბანძაში. (გეგეჭკორის რაიონი).

ძმები სიმონ, ილია, სება, იონა, აკაკი, ძმისწული გიორგი ოჯახებით იუწყებიან **ნიკოლოზ სისოს-ძე კარტოზიას** გარდაცვალებას.

და სონა, ძმები ანდრო, ლადო, ნიკოლოზ, რძლები ელენე, თამარ, ნინო, ძმისწულები გივი, ნელი, მალხაზ, თამაზ, ასმათ იუწყებიან **ალექსი გიორგის-ძე კევლიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3-III, 8 ს. გამოსვენება 4-III, 4 ს. ჩოდრიშვილის ქუჩის შესახვევი № 5.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხაზდივნისა — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვისა და სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის—3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 00646

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი"